

24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424


პრესომბუდსმენი

A3



ალტერნატიული სცენა

A10



კუპარი თავისუფალ პარლამენტს ვერ არჩევს

A13



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

9 ივნისი - ახალი თარიღი

თარიღების დათქმა და გადადგომის მოთხოვნა საკმარისი არ აღმოჩნდა

არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა მორიგი საეტაპო თარიღი - 9 ივნისი დაასახელეს. საპროტესტო აქციათა ორგანიზატორები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის შენობების ერთდღიან პიკეტირებას აპირებენ. ამასთან, ოპოზიციური პარტიების შორის გადაჯგუფება მიმდინარეობს. გუშინ, ძლიერი წვიმის გამო, პარლამენტის შენობის წინ დანიშნული საინფორმაციო მიტინგი ჩაიშალა, რადგან ხმის გამაძლიერებელი აპარატურა დასველდა.

დათო გახოსონა

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე 24 საათის არასაპარლამენტო ოპოზიციის პოლიტიკური

ნაბიჯების შესახებ ესაუბრა. მისი აზრით, რაც უფრო მეტად ერთიანი იქნებიან ოპოზიციური პარტიები, მით უფრო დიდი იმის ალბათობაა, რომ სასურველ შედეგს მიიღწიონ, ხოლო დაქსაქსული ოპოზიციური პარტიების მიერ ახალი გაერთიანებების შექმნა მათთვის

პროდუქტიული არ იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი ეს ერთიანობა დაიშალა, რა გადაჯგუფებაც არ უნდა მოხდეს, ოპოზიციისთვის სასურველი შედეგი არ იქნება, - მიიჩნევს გეგეშიძე. მისი აზრით, ოპოზიცია ტაქტიკური ნაბიჯების გადაზრების პროცესშია. ამიტომ გამორიცხული არ არის შეკავშირება რაღაც ერთიანი პლატფორმის ირგვლივ. გეგეშიძე ცალკეული ოპოზიციური ძალების დაახლოებას სკეპტიკურად უყურებს: როგორც არ უნდა გადაჯგუფდნენ, თუკი ამან შედეგი არ მოიტანა, პრობლემა არსად წავა.

შესაბამისად, დაიწყება გადაჯგუფების ახალი ფაზა და შეიძლება ისევ შეკავშირდნენ. ყოველ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის ახლანდელმა გადაჯგუფებამ დაქსაქსვა გამოიწვია, ადრე თუ გვიან, ისინი მიხვდებიან, რომ ეს შეცდომა იყო და კვლავ გაერთიანებას შეეცდებიან, თუმცა ამ შემთხვევაში რისკის წინაშე დადგებიან, რადგან შესაძლოა, დაკარგონ საპროტესტო ელექტორატის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა.

ბაზრძილაბა A2 გვერდზე

წინააღმდეგობა და აბსურდი ვენეციაში

სოფო კილაშონა ვენეციიდან

3, 4 და 5 ივნისი ვენეციის ბენალესთვის სასტარტო გახლდათ. შესაძლოა საქართველოში ბევს გაუკვირდეს, მაგრამ ბენალეს ორგანიზატორთა და სხვადასხვა ქვეყნების პავილიონთა ხელმძღვანელთათვის ყველაზე საბასუსისმგებლო აკრედიტებული პრესის, არტ-კრიტიკოსებისა და არტისტებისთვის განკუთვნილი დღეებია. სწორედ ეს საზოგადოება ადებს პირველი საგამოფენო სივრცეების კარებს და სწორედ მათმა ინტერესმა უნდა გადანიშნოს რეზონანსის ხარისხი და უფრო მეტად - "რაოდენობა".

ბაზრძილაბა A11 გვერდზე



მაი ბინეზინის ნამუშევარი

ევროპარლამენტის არჩევნები

ულტრამემარჯვენე რადიკალები ძალას იკრებენ

მარიკა იაშვილი

ევროპარლამენტში ოთხდღიანი არჩევნები დასრულდა. მისი შედეგები ბრიუსელში, ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მონყოილ პოლიტიკურ შოუში გახდება ცნობილი.

ევროპარლამენტის არჩევნები 4 ივნისს დაიწყო. ოთხშაბათიდან შაბათამდე ორგანიზაციის წევრი 27 ქვეყნიდან ხმის მიცემის პროცედურა 7-ში ჩატარდა, იტალიაში კი კვირასაც გაგრძელდა. ხმის მიცემის ძირითადი ეტაპი სწორედ კვირას გაიმართა. ამ დღეს საარჩევნო ურნებთან ევროკავშირის 19 ქვეყნის მოქალაქეები მივიდნენ.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ევროპარლამენტის არჩევნებისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ამომრჩეველთა აქტივობის მარცხენა ვარდნა.

ბაზრძილაბა A7 გვერდზე



AFP - 2009

ინგლისური ენა კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, ინგლისური ენის შედგენილების გუდაურში სამდღიანი კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციას ესწრებოდა ინგლისური ენის 90-მდე პედაგოგი საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. პედაგოგებმა ინფორმაციები გაცვალეს და დამატებით სი...

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ინგლისური ენის სწავლების რეგიონული კოორდინატორი თომას სანტოსი 24 საათიანი საუბრისას აღნიშნავს, რომ საქართველოში ინგლისური ენის სწავლების დონე დაბალი არ არის, თუმცა საჭიროა უკეთესი ტექნიკური პირობები, რათა პედაგოგებს საშუალება ჰქონდეთ, ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით შეასწავლონ ინგლისური ენა.

ამ კონფერენციის ჩატარების იდეა იმან განაპირობა, რომ ზოგადად, ენა კომუნიკაციის საშუალებაა, ინგლისური ენა კი ბევრ ქვეყანაში და ბევრ ქვეყანას შორის არის კომუნიკაციის საშუალება. დიდი აუცილებელია ნებისმიერი სახის, პატივად თუ დიდი კონფლიქტის გადასაჭრელად და საერთო ენის გამოყენება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს უჭერს საქართველოში ინგლისური ენის შესწავლის განვითარებას, - აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ინგლისური ენის სწავლების რეგიონული კოორდინატორი თომას სანტოსი.

სალომე ქაძაშია

რუსთაველთა ნანძღის სასმელი წყლის დავალიანებას მერია დაუფარავს

კომპანია "ჯორჯიან უოტერ ენდ ფაუნდრის" გენერალური დირექტორი იურგ მატისი ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კორკიტაძეს შეხვდა. შეხვედრას რუსთავის მერი, გარდაბნისა და მარნეულის გამგებლები ესწრებოდნენ. "ჩვენ ვიმსჯელებთ, როგორ გავაუმჯობესოთ წყალმომარაგება. ასევე ვისაუბრებთ საინვესტიციო პროექტებზე, რომლებსაც ამჟამად ვახორციელებთ და განვიხილეთ თანხების ამოღების საკითხიც. გუბერნატორისგან მივიღე დაპირება, რომ ყველანაირად შეგვიწყობს ხელს და დაგვხმარებს მოსახლეობის მიერ დახარჯული წყლის საფასურის ამოღებაში," - განაცხადა იურგ მატისმა.

რუსთავის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, ქალაქის სოციალურად დაუცველ ფენას სასმელი წყლის ძველ დავალიანებას ადგილობრივი ბიუჯეტი დაუფარავს. "რუსთავის მერიაში მოვახერხებთ თანხების მობილიზებას სოციალურად დაუცველი ფენებისათვის წყლის დავალიანების დასაფარად და შევინა თანხას პირდაპირ კომპანიას ჩაურთავს. კომპანიას საკმაოდ საინტერესო წინადადება აქვს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს წყლის მიწოდების გრაფიკი მარნეული-სა და გარდაბნის მოსახლეობისთვის, ასევე ქალაქ რუსთავისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა, რომელიც აქ ძალიან მწვავედ იდგა, უკვე აღარ არსებობს და საუბარია მომსახურების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლაზე," - განაცხადა დავით კორკიტაძემ.

კომპანია "ჯორჯიან უოტერ ენდ ფაუნდრის" სასმელი წყლით, თბილისის გარდა, მთლიანად რუსთავს, ასევე გარდაბნისა და მარნეულის ნანძღს ამარაგებს. როგორც იურგ მატისმა "24 საათს" განუცხადა, 2009 წელს ისინი რუსთავში მრავალმილიონიანი ინვესტიციის ჩადებას გეგმავენ. ამ ეტაპზე ქალაქში სამი პროექტი ხორციელდება. მიმდინარეობს მილსადენის გამოცვლა და ორი ქუჩის რეაბილიტაცია.

ასევე შენდება ახალი ელექტროგადამცემი ხაზი, რათა ელექტროენერჯია რუსთავის წყალგამანაწილებელ კომპანიას მიწოდდეს. კომპანია ელექტროენერჯიას თავად აწარმოებს და საკუთარ ენერჯიაზე გადასვლა მათ ხარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

კომპანიის გენერალური მენეჯერი აცხადებს, რომ ინვესტიციების სიდიდე წყლის საფასურის გაზრდაზე არ არის ხედავად და მოსახლეობისთვის სასმელის წყლის გადასახადის გაზრდის საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება.

9 ივნისი - ახალი თარიღი

პირველი გავრცელება

24 საათიანი საუბრისას გეგეშიძემ ოპოზიციის მოქმედებაზე შეაფასა: რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშნისთვის მიმართულმა საპროტესტო კამპანიამ პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და პარლამენტის მუშაობის პარალიზება გამოიწვია, მაგრამ ეს არ შეიძლება შედეგად ჩათვალოს, არამედ უნდა ითქვას, რომ საპროტესტო აქციებმა გარკვეული ეფექტი გამოიღო. მისი აზრით, ორთვიანი საპროტესტო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, ოპოზიციამ სათანადოდ ვერ იმოქმედა საერთაშორისო საზოგადოებასთან და აქ აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან. ამიტომ საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა უფრო მკაფიოდ უნდა აუხსნან ყველას - როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ - თუ რატომ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება და ეს ცვლილება რა უკეთეს შედეგს მოიტანს, ანუ რა საფრთხევს შეიცავს დღევანდელი ვითარების შენარჩუნება და რა ახალ შესაძლებლობებს შექმნის ხელისუფლების შეცვლა. ყოველივე ეს მკაფიოდ უნდა ითქვას და ოპოზიციამ ყურადღება უნდა დაუთმოს პოზიტივს, - აღნიშნა გეგეშიძემ. გარდა ამისა, მისი აზრით, მხოლოდ თარიღების დათქმა და გადაადგომის მოთხოვნა საკმარისი არ აღმოჩნდა.



ფოტო: კომანდოროსი, ფონი

მიტიგების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ 24 საათიანი საუბარში განაცხადა, რომ 9 ივნისის საპროტესტო აქციების დაწყებიდან ორი თვე სრულდება და ამიტომ დაიგეგმა ეს აქცია. ეს არის ნიშანი იმისა, რომ არც საპროტესტო განწყობა კლებულობს და არც ჩვენი გეგმები შეცვლილა.

ბესელიამ შინაგან სამინისტროს ახალ შენობასთან საპროტესტო აქციის გამართვის მიზეზები განმარტა. მისი თქმით, ოპოზიციის მხარდამჭერები საქართველოს მთავარი პროკურატურის შენობასთანაც შეიკრიბებიან. სააკაშვილის რეჟიმი, ძირითადად, ძალადობაზე დამყარებული და ეს ყოველივე იმართება იმ უწყებებიდან, რომელთა პიკეტირებაც 9 ივნისის არის და-

გეგმილი, - აღნიშნა ბესელიამ. მისი თქმით, აღნიშნული შენობებისკენ მსვლელობა მოეწყობა და მასში ყველა ის ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, ვინც ძალადობის ემიჯნუბა - ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები თუ ექსპერტები. ეკა ბესელიამ განმარტა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარი პროკურატურის შენობებთან მოეწყობა ცოცხალი ჯაჭვი. ერთდღიანი პროტესტის შემდეგ, 10 ივნისიდან საპროტესტო დემონსტრაციები კვლავ რუსთაველის გამზირზე გაგრძელდება.

9 ივნისის დაგეგმილი საპროტესტო აქციიდან მყისიერ შედეგს არ მოელოდნენ რესპუბლიკური პარტიის წევრი ირაკლი ბათიაშვილი. 24 საათიანი საუბარში ბათიაშვილმა განაცხადა, რომ მშვიდობიანი ბრძოლა გრძელდება და 9

ივნისის საპროტესტო აქცია არის იმ აქციების ჯაჭვი, რომლებიც 9 აპრილს დაიწყო. რა თქმა უნდა, ზაფხულში პერმანენტული აქციების მასშტაბები შემცირდება, თუმცა პროტესტის გაზრდას სექტემბრიდან ველოდებით. მისი თქმით, სამართლიანი გაღიზიანების მიუხედავად, საპროტესტო დემონსტრაციებთან ერთად, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს. ჩვენ ყველა მშვიდობიანი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ და საჭიროა, რომ მოლაპარაკებების გზით წავინით ნინო. ახლა ძალიან რთულ ბრძოლაში ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შედეგს აუცილებლად მივიღებთ, რადგან როცა ნაყოფი მოაღებება, ის ჩამოვარდება, - აღნიშნა რესპუბლიკური პარტიის წევრმა.

გენერალ ბორისოვის "აღიარებითი ჩვენება"

რუსეთის რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთვის" 6 ივნისს მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორმა ვიაჩესლავ ბორისოვმა განაცხადა, რომ გენერალი შამანოვი სამხედრო დაჯგუფებას აფხაზეთის, თავად კი "სამხრეთ ოსეთისა" და საქართველოს მიმართულტულებით ხელმძღვანელობდა.

"ამ რაიონებში ჩვენ რეგულარულად ვანარმოებთ სწავლებებს, ჩვენმა ჯარებმა სრულყოფილი პრაქტიკა მიიღეს. ამ ტერიტორიებზე, ზუსტად იქ, სწავლებებს ვატარებდით ერთი კვირით ადრე და გასვლას ვაპირებდით იქიდან. ამიტომაც ცხინვალის მიმართულტულებით მარში ჩვენ გაცილებით უკეთ შევასრულეთ, ვიდრე ცენტრალურმა და საოლქო ნაწილებმა... ჩვენთვის ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ჩვენ რიგ სხვა ამოცანებსაც ვაძლევდით უკეთ ვასრულებდით, ეს აღნიშნეს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებმა, გენერალური შტაბის უფროსმა, თავდაცვის მინისტრმა," - განაცხადა რუსმა გენერალმა-მა-

იორმა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბორისოვის განცხადებას აღიარებით ჩვენებად და რუსეთს აგრესიის მტკიცებულებად მიიჩნევს. ამის შესახებ საგარეო პოლიტიკური უწყების საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი. საგარეო საქმეთა სამინისტრო ბორისოვის ინტერვიუს განცხადებას ურჩევს ყველას, ვისაც "აქამდე ეჭვი ეპარებოდა, რა მოხდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში". "მათ, ვისაც დღეს ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება, თუ ვინ იყო გასული წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის სულსჩამდგმელი და განმხორციელებელი, დაჟინებით ვურჩევთ, მიმართონ ამონარიდს რუსი გენერლის ინტერვიუდან," - აღნიშნულთა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ამასთან, სამინისტრო იმეძს გამოთქვას, რომ "კიდევ ერთი რუსი აგრესორის მიერ გაცემული მორიგი აღიარებითი ჩვენება საერთაშორისო კომიუნისტების დახმარება ჭეშმარიტე-

ბის დასადგენად ადეკვატური დასკვნების გაკეთებაში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ გამოცხადებულ, 18-წლიან ომზე, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტო მხოლოდ ბოლო ეპიზოდს წარმოადგენდა."

"ბორისოვი სათავეში ედგა საქართველოში, კერძოდ, ცხინვალის რეგიონში შემოყვანილ რუსეთის საოკუპაციო ძალებს, მათ, ვინც ბომბავდა მშვიდობიან მოსახლეობას და უმონყალოდ ანადგურებდა საქართველოს ინფრასტრუქტურას, ვისი ხელითაც ხორციელდებოდა ეთნომენება," - აცხადებს საგარეო უწყება. (ჯალკე განცხადებას აკეთებს სამინისტროს პირველი პირი გრიგოლ ვაშაძე.

"კიდევ ერთმა რუსმა ოკუპანტმა და თანამდებობის პირმა დაადასტურა ის უწყველი ფაქტი, რომ ინვადალნიანი გამოცხადებული ომის ბოლო ეპიზოდი აგვისტოში რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა დაიწყო. ბორისოვმა ინტერვიუში თქვა, რომ ზუსტად იმ ადგილებში, სადაც შემდეგ საომა-

რი მოქმედებები დაიწყო, ისინი 7 აგვისტომდე ერთი კვირით ადრე წვრთნებს გადიოდნენ. ძალიან კარგია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ამ ინტერვიუს წაკითხვის საშუალება ექნება," - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რუსი გენერლის ინტერვიუზე კომენტარს თბილისის მერიც აკეთებს. "ჩემთვის, როგორც ქართველი ადამიანისთვის, შეკითხვაა, თუ ვინ დაიწყო ომი, არ არის მნიშვნელოვანი. ქვეყნის თავდაცვისა და გაერთიანებისთვის ყველა ხერხი უნდა იქნას გამოყენებული. ჩვენმა სამხუზაროდ, საქართველოში, ძირითადად კი პოლიტიკურ სპექტრში, ძალიან ბევრი ადამიანია, რომელსაც ერთი სული აქვს, როდის დადებს ტალიავინის კომისია დასკვნას იმის შესახებ, რომ ომი საქართველომ დაიწყო, შესაბამისად, ეს განცხადება მათთვის სახეში ცივი წყლის შესხმა იყო. იმედი მაქვს, ისინი ახლა მაინც გამოფხიზლდებიან," - განაცხადა გიგი უგულავამ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათის" გამოცემალი შპს "გვ3". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფაჩუაშვილი, პაბატა მამუკაძე. რედაქცია: სოფოკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მხარველი რედაქტორი). რედაქტორები: შანიჭა ჭიჭიანი (საზოგადოებრივი), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშინია (რეჟისი), ანა ფაჩუაშვილი (სპორტი). რედაქციაში მუშაობს: ირაკლი ლევაკო: ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაკლი ლევაკო (მენეჯერი), თენგიზ ქიჩია, ნინო ყავლაშვილი. რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლაღარია

თბილისის კინოეკრანებზე... ისე ვამბობ, თითქოს უამრავი იყოს!.. ეპ, რას იზამ, რაც არის, არის... ზოდა, იმას ვამბობდი, რომ თბილისის კინოეკრანებზე ახალი ფილმების გამოჩენას "24 საათის" ფურცლებზე ტრადიციულად იკვებება გვიანდელი და ფილმების შესახებ წინასწარ ცნობებსაც გვანდის. გასულ კვირას მისი ერთ-ერთი მასალა "ანგელოზებსა და დემონებს" მიეძღვნა - ყბადალეტული დენ ბრაუნის კიდევ ერთი ბესტსელერის ჰოლივუდურ ეკრანიზაციას.

არა, ვახეთში გამოქვეყნებული მასალა სრულ წესრიგშია. მე ის მხოლოდ საბაზად მინდა გამოვიყენო.

მისი თქმა მინდა, რომ ფილმი ნანახი მაქვს და, უნდა გამოვიტყუდე, იშვიათი სისულელეა. თუმცა ნახვად კი ღირს... რატომ? — იმიტომ რომ უებარი საშუალებაა არასრულყოფილების კომპლექსის დასაძლევად.

მამ ასე, ამ ფილმის, ისევე როგორც "და ვინის კოდს" მთავარი გმირია ამერიკელი პროფესორი, სიმბოლოთა სპეციალისტი რობერტ ლენგდონი. ამ ფილმშიც, ისევე როგორც "და ვინის კოდში", მას თავიდანვე საძინებელი ოთახში ვხვდებით, ოღონდ ამჯერად ლუგის მუზეუმში კი არ იზარებენ იდუმალი საქმის გამოსაძიებლად, არამედ პირდაპირ ვატიკანში: გარდაცვლილი პაპი, დღევანდელზე სიჭკნის კაპელაში კონკლავი უნდა გაიხატოს, ამასობაში კი ტერორისტებმა ოთხი კარდინალი მოიტაცეს და მოკლეთ ემუქრებიან. საქმეში ჩარეულია ერთი იტალიელი ფიზიკოსი ქალიც, რადგან ბირთვული კვლევების ევროპული საბჭოდან (ემპოკლებით "ცერნი") ამავე ტერორისტებმა მოიტაცეს სინთეზირებული ანტიინფივირუსების დიდი რაოდენობა: თუ ეს ბომბი აფეთქდა — გვამცნობს სინთეზირებული ვერა — ვატიკანს განადგურება ელოდება, რადგან აფეთქების სიმძლავრე ხუთი კილოტონა ტროტილის ეკვივალენტი.

ნარმოვიდგინოთ, რომ ანტიინფივირუსების ასეთი კოლოსალური რაოდენობის სინთეზირება მართლაც მიღწეულია და ასევე გადაწყვეტილია მისი შენახვის პრობლემა — ბოლოს და ბოლოს, სამეცნიერო ფანტასტიკა ამაზე უარს დაშვებებსაც გვთავაზობს. მაგრამ ფანტასტიკა კი არ უნდა იყოს შინაგანად წინააღმდეგობრივი. ვაგინისენო, რომ 1945 წლის 6 ავგისტოსს, ჰიროსიმას თავზე დაახლოებით 13 კილოტონა სიმძლავრის ბირთვული მუხტი 600 მეტრის სიმაღლეზე აფეთქდა, რამაც 140 ათასი ადამიანი იმსხვერპლა და ქალაქის შენობათა 69 პროცენტი სრულად განადგურა. ფილმში ანტიინფივირუსების წმინდა პეტრეს მოედნიდან აფრენილ შვეულმფრენზე ფეთქდება და მოედანზე შეკრებილი ადამიანები ამას ისე უცქერენ, როგორც ფეიერვერკს. მაგრამ დავანებოთ თავი ბირთვულ ფიზიკას — ვინ იცის, რა ძალა აქვს სიქსტის კაპელაში შეკრებილი და იქიდან სასწრაფოდ ევაკუირებული კარდინალების ლოცვას: ვინძელი მარტოვანი ფეიერვერკად აქციოს ანიჰილაციის შედეგად ვახეთისუფლებული ენერჯა.

კვლავ რობერტ ლენგდონს მივუბრუნდეთ. ეს ამერიკელი პროფესორი თავის შინაგონი კვლევებს რაღაც ახალგაგონილ სულელურ დარგში კი არ აწარმოებს, მაგალითად, ისეთში, როგორიცაა "მშვიდობილოვან", ან "გენდეროლოვან", ან სულაც



"გვი-ლესხო-ლოვან" — იგი შუასაუკუნეობრივ სიმბოლოთა მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი და, ძალიან რომ არ გავიგრძელდეს სიტყვა, ისღა აღვნიშნოთ, რომ ამ საგნების მკვლევარმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს ანტიკურობისა და შუასაუკუნეთა, რენესანსისა და ახალი დროის დასაწყისის ისტორია და ისტორიული გეოგრაფია, ლიტერატურა და ფილოსოფია, ხელოვნება და ყოველდღიური ცხოვრება, ოფიციალური რელიგია და ხალხური კულტები.

მაგრამ ამის მაგიერ რას ვხედავთ?

"ლათინურის გაგებაში დავცხმარები!" — დიდულოვნად სთავაზობს მედივეისტი ამერიკელი პროფესორის იტალიელი ფიზიკოსი ქალი და ინგლისურად უთარგმნის რომელიღაც უმარტივეს ტექსტს. პროფესორი კი არც წითლობს. არადა მოცემულ ეპოქაში არა მხოლოდ ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი (მეცნიერების ალბათ ყველაზე გულმხურვალე დამცველი), არამედ ეკლესიის რეფორმატორი და ბიბლიის ინგლისურად მთარგმნელი ჯონ უიკლიფიც თავიანთ ყველაზე სერიოზულ ტრაქტატებს ლათინურად წერდნენ — ჰოლივუდის მედივეისტი კი გვიმტკიცებს, მეცნიერებამ თავიდანვე ინგლისური ენა შეარჩია, რადგან ვატიკანში არ უმოდათო. მოდი და ნუ გაგვიძევა: სინამდვილეში სწორედ რომ პირიქით იყო და გალილეო გალილეის მეგობარმა ჯონ მილტონმა ლათინური არ იკმარა: იტალიურიც შეისწავლა სრულყოფილი ურთიერთობისათვის.

"რომელია რაფაელის დაპროექტებული სამარხები?" — ეკითხება მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი რობერტ ლენგდონი რომის პანთეონში ექსკურსიათმძღოლს. მე პირადად მინახავს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ექსკურსიათმძღოლი (მოკლედ რომ ვთქვათ, გიდი) გოგონები, რომლებიც სხაპასუპით აბულებულებდნენ გერმანულად დაზუიერებულ ტექსტს და თან იმასაც ჩაუერთავდნენ, მეორემეტყველებდნენ საქართველოს მოსახლეობა 11 მილიონი იყო. იმ კონკრეტულ შემთხვევაში ამერიკელს გაუმართლა, მას სწორი პასუხი გასცეს, მაგრამ მისი სამეცნიერო გამოცდილების კაცი გიდების იმედზე მაინც არ უნდა იყოს.

იგივე მეცნიერი ცოტა მოგვიანებით, ფილმის ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში კარაბინერების კაპრალს ანდის რომის ტურისტულ რუკას (ერთნახევარი ევრო ლირს და ყოველ კიოსკში იყიდება) და სთხოვს: "მაჩვენეთ, გეთაყვა, სად მდებარეობს სანტა მარია დელა ვიტორიას ეკლესია". გასაგებია, რომ იტალიური არ იცის, მაგრამ, ჯერ ერთი, რუკის ინგლისური ვარიანტი სულაც არ ღირს უფრო ძვირი, თანაც ეკლესიის სახელი ყველა ენაზე ერთნაირად იწერება. სამაგიეროდ, კარაბინერების, ანუ შინაგანი ჯარის ნდობა ნამდვილად გამართლებულია — ამათ გადაწყვიტეს ყველა პრობლემა.

საქმე ისაა, რომ კვანძი ჩვენი პროფესორის კომპეტენციის წყა-

ლობით კი არ გაიხსნა (აფორინე ალალიო, ნათქვამია), არამედ იმის შედეგად, რომ პაპის კაბინეტში ადრევე დამონტაჟებული ყოფილა სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა. ჩვენი პროფესორის დახმარება არც არავის დასჭირდებოდა, თავიდანვე რომ ენახათ ჩანაწერი.

როცა კარდინალთა კრებულის წინაშე ამ ჩანაწერს გამოიტანენ, წითელხალათიანთა გუნდი არ დაინყებს "დადგეშლია-დადგეშლია" ძახილს. პირიქით, ფარული ჩანაწერის მარტივი და უტყუარი ფაქტი გადასწონის ვატიკანის თავზე ახლახან მომხდარ სასწაულს და ტაძრის წინ შეკრებილი ხალხის მასობრივ ეიფორიასაც. მეორე დღიას კარდინალები მშვიდი ჩვეული მოძრაობებით მოსავენ ახლად არჩეულ პაპს, რომელიც აშკარად იმ განწყობაზე ჩანს, რომ შინაგან ჯარის კი აკურთხებს და დალოცავს, მაგრამ არასოდეს გაერთობა ამნისტიების მოთხოვნით...

არა, ჩვენს დალოცვილ მამულში ნამდვილად ვერ მოხდებოდა ასეთი ამბავი. კაცმა რომ თქვას, დღეს საქართველოს არევა და გაუქმება ბევრად უფრო მეტ რეალური ძალაუფლებით აღჭურვილ ადამიანს აინტერესებს, ვიდრე ვატიკანის აფეთქება. ამის გამო და კიდევ მიუხედავად მტნაკლები წარმატებით ჩატარებული განათლების რეფორმისა, პროფესორების მიმართ ნდობა აქ არც ისე მაღალია. ამიტომაც პირდაპირ ფარული ჩანაწერებით იწყებენ ხოლმე.

"უფრო მეტიც, ჩვენში უკვე გამოყარა დაიწყო იმის შეგნებაც, რომ ქართველ მასწავლებელთა კორპუსი ჯერ არ მომნიფებულა თავისუფლებისათვის, ჯერ მზად არ არის დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. აბა, სხვას რას ნიშნავს გურისი სოფელ სუფსაში ცოტა ხნის წინათ განვითარებული მოვლენები? — აქ ორი გოგონას როკის კულტურით გატაცებამ რაღაც წარმოუდგენელი ბრალდებები გამოიწვია: სატანისტობა და ლესბიურობა! — ისტორია ძველია: ქრისტიანებასაც კანიბალიზმსა და დემონთა მსახურებას აბრალდებდნენ. რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია "იმედმა" საკმაოდ ვრცელი სოუჟტი მიუძღვნა ამ კაზუსს. არ არის საჭირო იყო მსოფლიოში აღიარებული კულტუროლოგი, უმარტივეს და უთვალსაწიროეს რამეს რომ მიხედვ: ბავშვებმა ბევრად უფრო სრულად და ორგანულად აითვისეს როკის კულტურა, ვიდრე მოზრდილებმა ის ტრადიციული ღირებულებები, რომელთა დამცველებად გამოდიან და ამის გამო სხვათა ბედ-იღბალსაც წყვეტენ.

თურმე ის გაუკვირდათ, ბავშვებმა საჩუქრად წითელი საღებავით კაბადასისლიანებულნი და თვალამოგებულნი თოჯინა რომ მოამზადეს. მერე და რა არის აქ ქართული ტრადიციების საწინააღმდეგო? — განა ჩვენს ხალხურ ზღაპრებში დედები არ ყრიან თონები საკუთარ შვილებს? ან იქნებ გმირები წვივიდან არ იჭრიან ხორცის მოზრდილ ნაჭრებს? მარტო ეს ფრაზა რად ღირს — "მოსაკლავად ვერ გაიმეტეს და

თვალეები დასთხარეს" — ლამის რეფრენად რომ გადადის ზღაპრიდან ზღაპარში!

მაგრამ არა: მასწავლებლები ჭორებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე კრიტიკული აზროვნების დამკვიდრებას, რის შედეგად ორი ოჯახი უნდა გადაბარგდეს სოფლიდან. არა, ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ განათლების სამინისტროს რაღაც საშუალება ნამდვილად უნდა ჰქონდეს ადგილებზე ინიციატივის შესაჩერებლად! დემოკრატიის დამკვიდრებისას ალბათ იმ კატასტროფა ვეცდეთ, ვეფხვის ბოკვერი რომ გაზარდა: ვერ დაამკვიდრებ ქართველებში დემოკრატიას, თუ ამავე დროს სწრაფად ხეზე აძრომა არ იცი.

დაბს, ვერ მოიკიდებენ ფეხს ლენგდონები ჩვენს კურთხეულ მინაწყალზე! — მაგრამ განა ამ მიზნის სრულად მიღწევა შესაძლებელია მადლმოსილი სამღვდლოების გარეშე? მოეუწმინოთ ლამა ბულაძეს, რომელმაც 5 ივნისს თავისი ტრადიციული სვეტი ასე დაასათაურა — "ვანდალიზმი სვეტიცხოველში". აქ ვკითხულობთ: "ჩემი გაოგნების მიზეზი კი სვეტიცხოველში ახალდაგებული მეტლახის იატაკი იყო. თავისთავად, მეტლახის იატაკებს არავფერს ვერჩი და ამჯერად რაც იმ ესთეტიკურ დანაშაულზე ვისაუბრებ, რომელიც მეტლახის დამგებმა სვეტიცხოველის "გარემონტების" და, მარტოვად, ფულის კეთების ცნებით ატანილმა ადამიანებმა ჩაიდინეს მცხეთის ძველისძველ ტაძარში. ჩემი აღმოჩენების უმოხვედრესი მიზეზი მეტლახის იატაკის ქვეშ ჩამარხული და ჩაბეტონებული ძველი სვეტიცხოველის ნაშთებია, რომელთა დანახვაც ადრე, ანუ "გარემონტებამდე" შუშის გამჭვირვალე ფილებიდან იყო შესაძლებელი". რომში, მაგალითად, ასეთი შუშის ტროტუარები ბევრგან არის — ადვილად შეიძლება ანტიკური საძირკვლების დანახვა. ასე უფროხილდებიან წარსულის ხსოვნას. ჩვენში კი საკუთარ ისტორიას მეტლახის ქვეშ უჩნენ საშუალო განსავსებულს, რათა ვერავის ჰქონდეს შესადარებელი საშუალება, ვერავინ მიხვდეს, რომ ხისგან უშნოდ გამოჩორკნილი და ოლიფანასმული საკურთხევლები, გრომიანი ქსოვილის კრეტსამებლები ძველ ქართულ ტაძრებში უგემოვნოდ გამოიყურება.

რითი განსხვავდება ეს "რემონტი" რუსების იმ მოქმედებისგან, რომელიც დღენიადაც პირზე გვაკერია: ჩვენი ფრესკები შეათურეს! მოდი და უსაყვედურე ახლა ქართველ გიდებს რამე მას შემდეგ, რაც ლამა ბულაძის სვეტში ნაიკითხავ: "მთა ვერაფერი გაანყვეს" "გამრემონტებულებთან" და ზოგიერთ სასულიერო პირთან, რომელთა გაუნათლებლობის და ამბიციების გამო ჩვენ კიდევ ერთხელ ღრმად მინაში ჩაფვალთ ჩვენი ისტორია".

ეს ისტორია კი, სხვა თუ არაფერი, უფლის კვართია, რომელიც საქართველოში მეტლახის ქვეშ ჩაბეტონეს, გერმანიის ქალაქ ტრიონში კი შუშის მიღმა არის გამოფენილი ყველას დასახებად.

დეენილთა პრობლემები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია და ჯანდაცვის მინისტრი დალილა ხორავა თელავში ჩასახლებულ აფხაზეთიდან დეენილ მოსახლეობას შეხვდნენ. დეენილებმა ამ შეხვედრაზე თელავის ტურბაზის შენობის იძულებით დატოვება გააპროტესტეს და აკიშბაიას დახმარება სთხოვეს.

დეენილმა ნინო ჩიჩუამ განაცხადა, რომ შეთავაზებულ შენობაში იმ შემთხვევაში გადავიდნენ, თუ ბინებს სულადობის მიხედვით გაანაწილებენ. ერთ-ერთი დეენილი თინა ბუხრაძე კი, რომელსაც ოზლად დარჩენილი 5 შვილიშვილი ჰყავს, ამბობს, რომ დახმარება ადგილობრივ ხელისუფლებას და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბევრჯერ სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. აკიშბაია დეენილებს შეძლებისდაგვარად დახმარებას დაჰპირდა.

ამასთან, აფხაზეთის მთავრობის ინიციატივით, დეენილებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ და 5 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტები უფასოდ დაურიგდათ.

როგორც მალხაზ აკიშბაიამ განაცხადა, ანალოგიური აქციები საქართველოს ყველა იმ რეგიონში განხორციელდება, სადაც აფხაზეთიდან დეენილები ცხოვრობენ. მისივე თქმით, მოხდება დეენილების მიერ დაყენებულ პრობლემებზე რეაგირება და რეკომენდაციების მიწოდება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის.

ინტერპრესნიუსი

სომეხი დიპლომატი თბილისში

საქართველოს სამუშაო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ედვარდ ნალბანდიანი ეწვია. დღეს იგი შეხვედრას გამართავს თავის ქართველ კოლეგა გრიგოლ ვაშაძესთან. ვიზიტის ფარგლებში სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საიათნოვას ძეგლს გახსნის.

ინტერპრესნიუსი

სეპარატისტების შეფასებები

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა სოხუმში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცნარმომადგენელ იოჰან ვერბექეს შეხვდა. როგორც თავად ვერბექემ შეხვედრის დასაწყისში აღნიშნა, გაერო-ს უშუალოების საბჭოს სხდომის გამართვამდე მას სურს, მოისმინოს გაერო-ს ცენტრალური მდივნის მიერ გაკეთებული ბოლო ანგარიშზე, რომელიც აფხაზეთში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელებას ეხება.

"ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ გაერო-ს გენერალური მდივნის ანგარიში. თუკი სუბიექტურ შეფასებებზე ვიმსჯელებთ, ჩვენ გვაქვს რაღაც უკმაყოფილებები, თუმცა, ამასთან, მივიჩნევ, რომ ეს ანგარიში სერიოზულად წინგადადგმული ნაბიჯია," - განაცხადა სერგეი შამბა.

მისივე თქმით, აფხაზურ მხარეს კარგად ესმის, რომ ეს იყო რთული ბრძოლა და ძნელად მისაღები გადაწყვეტილება, თუმცა კომპრომისული ვარიანტი მაინც მოიხატა. 15 წლის განმავლობაში აფხაზეთს არ მოსწონდა ფორმულირებები "აფხაზეთი, საქართველო", "დე ფაქტო" და ამ ყველაფერს გაგებით ეკიდებოდა.

"მაგრამ დღეს სიტუაცია შეიცვალა - გაერო-ს ორმა წევრმა ქვეყანამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამიტომ ახლა საქართველომაც და იმ ქვეყნებმაც, რომლებიც მას უჭერენ მხარს, ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინონ," - აცხადებს შამბა.

მისივე თქმით, აფხაზეთი სულაც არ მოითხოვს გაერო-სგან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, მაგრამ გაერო-ს რეზოლუციებსა და ანგარიშებში აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს ფორმულირება იმის შესახებ, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არ არის.

ჯი-ეიჩ-ენი

ტრაგიკული შემთხვევა

ირაკლი აბაშიძის N68-ში მდებარე სამსართულიანი კორპუსი ჩამოინგრა. ნგრევის შედეგადაც ერთი ადამიანი, 68 წლის მაცყალა ბინაძე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ქალაქის მერი გიგი უგულავა, რომელმაც განაცხადა, რომ კორპუსი მყარი იყო და ჩამოინგრება, სავარაუდოდ, მის გვერდით მშენებარე ბინის საძირკვლის გათხრამ გამოიწვია.

მშენებარე კორპუსს, "დიზაინსტუდიის" დაკვეთით, "მშენსერვისი 2009" აგებდა.

უგულავას განცხადებით, ქალბატონის გარდაცვალების გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. რაც შეეხება ხალხის დაბინავებას, თბილისის მერიამ უკვე იზრუნა ამაზე, მატერიალურ ზარალს კი, უგულავას თქმით, "დიზაინსტუდიის" ანაზღაურებს.

ინტერპრესნიუსი

ილუზიების ბარეჟი

რეკავ სახეობრივილი

საბოლოოდ გაირკვა, რომ საქართველოს მთავრობა მიმოქცევაში, ლართან ერთად, დოლარისა და ევროს შემოღების საკითხს არ განიხილავს. შესაბამისი განცხადება მთავრობის სახელით ფინანსთა სამინისტრომ ჯერ კიდევ წინა კვირას გაავრცელა. ფინანსთა სამინისტრო ჩვენი თანამოქალაქეებისა და ინვესტორების საყურადღებოდ უფლებამოსილია განაცხადოს, რომ მსგავსი სახის ინიციატივა და რეფორმა საქართველოს მთავრობაში არ განიხილება და ამ კუთხით ჩვენს ეროვნულ ვალუტას - ლარს, როგორც გადახდის ერთადერთ კანონიერ და საიმედო საშუალებას, საქართველოს ტერიტორიაზე არანაირი საფრთხე არ ემუქრება," - აღნიშნულია განცხადებაში. ფინანსთა სამინისტროს ცნობითვე, საქართველო მომავალშიც განაგრძობს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებას ეროვნულ ვალუტაში.

ქვეყანაში მულტისავალუტო რეჟიმის შემოღების იდეა, როგორც ცნობილია, ყოფილ სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძეს ეკუთვნის. მოგვიანებით იგივე შინაარსის განაცხადი საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფროსმა მრჩეველმა ნონა ყარალაშვილმაც გააკეთა. მისი აზრით, ეს ნაბიჯი ინვესტორებს მოიზიდავს და ვალუტის კურსის ცვალებადობისას, მათ ფულსაც დაიცავს. თუმცა მთავრობამ ეს აზრი არ მოიწონა და, იდეის უარყოფასთან ერთად, ნონა ყარალაშვილს თანამდებობაც დაატოვებინეს.

საგულისხმა, რომ ჩვენს თვალწინ ბენდუქიძის კიდევ ერთი იდეის რევიზიის განხორციელება იწყება. კერძოდ, ეროვნული ბანკი და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო შესაძლოა გაერთიანდეს. ეროვნული ბანკის გაძლიერებასა და მისი ფუნქციების გაზრდაზე ბანკი და პარლამენტი ერთობლივად მუშაობენ. კონკრეტული ცვლილებები უახლოეს პერიოდში გახმოვანდება, თუმცა ერთ-ერთ მთავარ საკითხად ორი უწყების ხელახალი გაერთიანება უკვე სახელდება. საკანონმდებლო ცვლილებას ეროვნულ ბანკში გატარებული რეფორმის ანალიზის მიხედვით მოამზადებენ.

გასულ წელს გატარებული რეფორმის შედეგად ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობა გამოეყო და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიას, დაზღვევის ზედამხედველობასა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან ერთად, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში გაერთიანდა. ამ იდეას მაშინაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ერთ უწყებაში გაერთიანება სწორად გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა უფრო ეფექტური ეროვნული ბანკისა და საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციების გაერთიანება იქნება, რაც უკვე აქტი-

ურად განიხილება და ეროვნულ ბანკს ძველ სიძლიერეს და გავლენას შესძენს.

სავარაუდოდ, ვერაფერი შესძენს სანდოობას საქართველოს სტატისტიკის სამსახურის სანდოობას, რომელიც განსაცვიფრებელი მონაცემებით აპელირების ახალ რეკორდებს ამყარებს. მიმდინარე კვირას სტატისტიკის დეპარტამენტმა საარსებო მინიმუმის ახალი მაჩვენებელი გამოაქვეყნა. ოფიციალური სტატისტიკით, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი აპრილში 5 ლარით - 129 ლარსა და 70 თეთრამდე შემცირდა. 4%-იანი კლება დაფიქსირდა ერთსულიანი ოჯახზე, რაც ამ დროისათვის კაცზე 115 ლარს შეადგენს. ორსულიანი ოჯახს არსებობისათვის, მინიმუმ 183 ლარი და 80 თეთრი ესაჭიროება, ექვსსულიანი ოჯახს კი 305 ლარი, რაც მარტის მონაცემს 12 ლარით ჩამორჩება. საარსებო მინიმუმს სტატისტიკის დეპარტამენტი, სასურსათო კალათის მიხედვით ითვლის, რომელშიც სულ 40 დასახელების პროდუქტი შედის. კალათის 70%-ს სურსათი იკავებს, 30% კი პირველადი მოხმარების ნივთებს უჭირავს. შედარებისთვის - 4 წლის წინ საარსებო მინიმუმად 154 ლარი იყო მიჩნეული ანუ დღევანდელზე 25 ლარი მეტი. და ეს იმ პირობებში, როცა ამ პერიოდში პროდუქტების აბსოლუტურ უმრავლესობაზე ფასები მკვეთრად არის მომატებული.

სტატისტიკის მონაცემებითვე, ბოლო ნახევარ წელიწადში მკვეთრად არის დაცემული საქართველოში სამრეწველო პროდუქციის წარმოება, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სოლიდურ წილს წარმოადგენდა. მრეწველობასთან დაკავშირებით დედაქალაქში მნიშვნელოვანი სიახლეა. კერძოდ, ქალაქის ცენტრალურ უბნებში სანარმოების მშენებლობა და გაფართოება აიკრძალა. ქალაქის ახალი გენერალური გეგმის მიხედვით, სანარმოო ზონა ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე გადავა. ამ მიზნით უკვე გამოყოფილია 2 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც კვადრატული მეტრის ფასი 13-იდან 35 ლარამდე ეღირება. ქალაქის ცენტრში მხოლოდ მოქმედი სანარმოები დარჩებიან, თუმცა გაფართოებას ვეღარ შეძლებენ. გენერალურ გეგმაში საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სატრანსპორტო ზონებიც განისაზღვრა, რომლის მიხედვითაც გარკვეულ უბნებში მშენებლობები აიკრძალა და შეიზღუდა. ახალ გენერალურ გეგმას საკრებულო უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებს. თუ, რასაკვირველია, შეკრებას და საკითხის განხილვას მოახერხებს.

ფეხბურთელ კახი კალაძე კი არსენალ სითის" საპრივატიზაციო ვალდებულებების გადავადების სანაცვლოდ, მთავრობას უკვე სასტუმრო უშბის" დაბრუნებას სთავაზობს. ეკონომიკის სამინისტრომ კალა კაპიტალისგან" შესაბამისი წერილი უკვე მიიღო. წერილში ნათქვამია, რომ უშბას" გარდა, კალა კაპიტალი" არსენალის ტერიტორიაზე 12 ჰექტარ მიწის ნაკვეთს საპატ-

რიარქოს დაუთმობს. თუმცა, სამინისტრო დათმობებზე წასვლას არ აპირებს, რადგანაც კალაძემ, როგორც გაირკვა, არც უშბასთან" დაკავშირებული ვალდებულებები შეასრულა, რადგან სასტუმროში მცხოვრები დევნილები შესაბამისი ფართობით ვერ უზრუნველყო. ესეც რომ არ იყოს, სრულიად გაუგებარი დარჩა, რატომ აპელირებს კალა კაპიტალი" ეკონომიკის სამინისტროსთან ვაჭრობის პროცესში იმ ფაქტორით, რომ ბოლომდე შეუსყიდველი მიწის ნაკვეთიდან ერთი ნაწილის გადაცემას საპატრიარქოსთვის აპირებს.

ეკონომიკის სამინისტროსა და კალა კაპიტალს" შორის დავა არსენალის ტერიტორიასთან დაკავშირებით მას შემდეგ დაიწყო, რაც კახი კალაძემ საპრივატიზაციო თანხის ეტაპობრივი დაფარვა, დათქმულ ვადებში ვერ მოახერხა.

მენეჯმენტს 2008 წლის 15 სექტემბრამდე 19,5 მლნ დოლარი უნდა დაეფარა, რაც არ გადა-

უხდია და დამატებითი ჯარიმები უკვე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხება. არსენალ სითის" პროექტის მიხედვით, ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე სამთავრობო და საცხოვრებელ ზონები, სკოლები, საავადმყოფოები, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროები და გასართობი დაწესებულებები უნდა აშენებულიყო, მაგრამ დღეს ეს სულ უფრო და უფრო წარმოუდგენელი ხდება.

პრობლემები არ აკლია არც მეორე ხმაურიან პროექტს: კომპანია კაპიტალ ვოსტოკმა" დაბი ჯგუფისგან" დაპირებული 5 მილიონი დოლარის კრედიტი ვერ მიიღო. მაღალი რისკების გამო დაბი ჯგუფში" შემავალი კორ-სტანდარტ ბანკი" სესხის გაცემამდე კომპანიას რამდენიმე პირობის შესრულებას სთხოვს. ამ პროცესის გაყინვის გამო, თაბუკაშვილის 50 ნომრის ყოფილი მცხოვრებლების ბედი გაურკვეველი რჩება. პირველი სკოლის უკან საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის გა-

საგრძელებლად, სადაც ისინი უნდა დაბინავებულიყვნენ, კაპიტალ ვოსტოკს" ფინანსები არ აქვს. მშენებლობა უკვე 2 თვეა შეჩერებულია, რასაც კაპიტალ ვოსტოკში" რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციებს უკავშირებენ. მენეჯმენტი აცხადებს, რომ საკრედიტო ხაზის გამოყოფაზე მოლაპარაკებები სხვა ბანკებთანაც მიმდინარეობს და კორპუსის მშენებლობა აუცილებლად გაგრძელდება. უბინაოდ დარჩენილმა 24-მა ოჯახმა კი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო კაპიტალ ვოსტოკის" წინააღმდეგ სარჩელი საქალაქო სასამართლოში უკვე შეიტანა. კიდევ ერთი სარჩელი კი ევროსასამართლოში გაიგზავნა. მოსახლეობა მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფოსგან 50 მლნ ევროს ითხოვს, საქმის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტის საკმარის მაღალი ალბათობით.

ავერსის .მბრედი ბარათის "წამახალისებელი ბათამაშების შედეგები

31 მაისს ავერსის კლინიკაში გაიმართა მტრული ბარათის გათამაშება, რომელიც გადაიცა ტელეკომპანია "იმედის" პირდაპირ ეთერში 19:30 სთ-ზე. გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლებელია მტრული ბარათის მფლობელებს, რომლებმაც 2007 წლის 6 ნოემბრიდან 2009 წლის 21 მაისის ჩათვლით მტრული ბარათზე დააგროვა 500 ან 500 ლარზე მეტი. დაგროვილი თანხის შემოწმება და აგრეთვე თუ რამდენი ბილეთის მფლობელები იყვნენ შეუძლებელია ავერსის ავთიაქებსში ან ავერსის ვებ გვერდზე www.aversi.ge. ავერსის წამახალისებელ გათამაშებაში გათამაშდა შემდეგი პრიზები:

ავტომობილი სუზუკის ჯიპი - გრანდ ვიტარა, რომელიც მოიგო ელგუჯა ჭეიშვილმა ქუთაისიდან, რომელსაც დაგროვილი ჰქონდა მტრული ბარათის გათამაშების 3 ბილეთი. მისი მტრული ბარათის ნომერი გახლავთ 0002378, ხოლო პირადობის ნომერი 60001028769.

საგზური ევროპაში-თითოეული 2400 ლარის ღირებულების მოიგო ორმა მტრული ბარათის მფლობელმა. ერთი გახლავთ ლელა უზანიძე ქ. ზუსტაფონიდან, რომელსაც მტრული ბარათის გათამაშების 2 ბილეთი ჰქონდა დაგროვილი, რომლის მტრული ბარათის ნომერი გახლავთ - 0013458 ხოლო პირადობის ნომერი გახლავთ 18001005866. მეორე ევროპის საგზურის პრიზიორი გახლავთ ვია კალატოვი ქ. თერჯოლიდან, რომელსაც დაგროვილი ჰქონდა მტრული ბარათის 1 ბილეთი, მისი მტრული ბარათის ნომერია 0153182, ხოლო პირადობის ნომერი კი 21001021468.

საგზური საქართველოს კურორტებზე- თითოეული 1600 ლარის ღირებულების მოიგო ორმა მტრული ბარათის მფლობელმა. ერთი გახლავთ მარიამ გულხაური ქ. თბილისიდან, რომელსაც დაგროვილი ჰქონდა მტრული ბარათის 3 ბილეთი. მისი მტრული ბარათის ნომერია -0035965, ხოლო პირადობის ნომერია 1001025281. მეორე იდებლიანი გახლავთ მამუკა არეშიძე ქ. ქუთაისიდან, რომელსაც დააგროვა მტრული ბარათის გათამაშების 1 ბილეთი, მისი მტრული ბარათის ნომერია -0222292, ხოლო პირადობის ნომერი კი გახლავთ 60001037010.

კომპიუტერი-თითოეული 1600 ლარის ღირებულების მოიგო ორმა მტრული ბარათის მონაწილემ. ერთი გახლავთ ლილა თამარაშვილი ქ. თბილისიდან, რომელსაც დაგროვილი ჰქონდა მტრული ბარათის გათამაშების 1 ბილეთი. მისი მტრული ბარათის ნომერია-0057927, ხოლო პირადობის ნომერი გახლავთ 31001001457. მეორე პერსონალური ნოუტბუკის მფლობელი გახლავთ ვია ტულუში ქ. თურგეთიდან, რომელსაც დაგროვილი ჰქონდა მტრული ბარათის გათამაშების 1 ბილეთი, რომლის მტრული ბარათის ნომერია 0000901, ხოლო პირადობის ნომერი გახლავთ 33001032301.

მტრული ბარათზე დაგროვება კიდევ და კიდევ გაგრძელდება და უახლოეს მომავალში კვლავ შედეგად გათამაშება, რომლის გამარჯვებულებიც რა იცით იქნებ თქვენ გახდეთ. ასე, რომ იყავით ავერსის ავთიაქების ერთგული მომხმარებელი, დააგროვეთ მტრული ბარათზე თანხა და გახდით უამრავი პრიზის მფლობელი.

967-227
WWW.AVERSI.GE
ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიოხვიდს!

პირველი და კრახადენტიული საქმი

რეაბილიტაცია ფულადი კომპენსაციის გარეშე

აქამდე მსხვერპლები ქუთაისში

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ რეაბილიტაციისა და სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმე განიხილა. როგორც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აცხადებენ, აქამდე ამ ინსტანციის სასამართლოს არაერთი სისხლის სამართლის საქმე განხილულია, რომლებზეც გამამართლებელი განაჩენები დადგა, თუმცა ხვიჩა ბუკიას საქმე პირველი და შესაბამისად, პრეცედენტული აღმოჩნდა, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული სასამართლოს მიერ გამართლდა და შემდეგ ყოფილმა ბრალდებულმა რეაბილიტაცია და მორალური ზიანის ანაზღაურება, ასევე, სასამართლოს ძალით მოითხოვა.

ხვიჩა ბუკია ზუგდიდის პოლიციამ 2006 წლის 19 თებერვალს დააკავა - საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარების ბრალდებით. კერძოდ, პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ბუკიას აფეთქებისთვის ვარგისი "რგდ"-ს ტიპის ხელის მსხვერვალი ყუმბარა და მადეტონირებული ფალია აღმოაჩინდა. ხვიჩა ბუკია პატიმრობაში 2006 წლის 11 აგვისტომდე იმყოფებოდა. ოთხი დღით ადრე კი, 7 აგვისტოს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა. ასეთ განაჩენს საუფფელად ის გარემოება დაედო, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული ჩხრეკის ოქმი სასამართლომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო. სასამართლომ დაადგინა, რომ ოქმი კანონდარღვევით იქნა შედგენილი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლომ გადაწყვეტილება

პროკურატურამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც ბუკიას საქმეზე 2006 წლის 27 ოქტომბერს განსხვავებული გადაწყვეტილება გამოიტანა: გააუქმა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი და ცნო ხვიჩა ბუკია დამნაშავედ, რისთვისაც მას ოთხი წლითა და ორი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ბუკია იმავე დღეს კვლავ დააპატიმრეს და მხოლოდ 8 თვის შემდეგ გაათავისუფლეს, რასაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განაჩენმა დაედო საფუძვლად. ამ განაჩენით, ბუკიას მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობას. 2007 წლის 29 ნოემბერს სხვა შემადგენლობამ სხვა განაჩენი გამოიტანა: კერძოდ, უცვლელად დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 აგვისტოს განაჩენი და ხვიჩა ბუკია კვლავაც უდანაშაულოდ ცნო, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

არარსებულ დანაშაულისთვის ხვიჩა ბუკიამ პატიმრობაში 1 წელი და 11 თვე გაატარა. მის მიმართ განხორციელებული უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების გამო, 2007 წლის 7 მარტს, მან ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში შეიტანა განცხადება - რეაბილიტაციისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ბუკიამ სასამართლოს განუმარტა, რომ ის უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, დაკავების პერიოდში მიაღვა ფიზიკური ზიანი, იყო ნაცემი პოლიციის თანამშრომლების მიერ, საპატიმროში გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა, საპატიმრო დანესებულებაში მისი მოთავსებისას მისმა ოჯახმა გასათმინებელი ხარჯები საკვებისა და მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. მისივე განცხადებით, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ით გადაცემა მისი დაკავების თაობაზე სიუჟეტი, სადაც ითქვა, რომ თითქოს "იყო აფხაზ ბოყეჩეკებთან შეკრული ყარაღი",

რითაც შეილახა მისი ღირსება და მიაღვა მნიშვნელოვანი ზიანი.

ბუკიამ სასამართლოში შეტანილი განცხადებით მოითხოვა მისი რეაბილიტაციის შესახებ ცნობის გამოქვეყნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ასევე, მისი ოჯახის მიერ განხორციელების ანაზღაურება - 4300 ლარის ოდენობით, 5000 ლარის ანაზღაურება ადვოკატის ხარჯებისთვის და უკანონო პატიმრობისა და დაკავების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება - 50 ათასი ლარის ოდენობით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის დადგენილებით, ხვიჩა ბუკიას მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა: "გამოქვეყნდეს ინფორმაცია ბუკიას ხრული რეაბილიტაციის შესახებ საკანონმდებლო მაცნებში; რეაბილიტირებულ ხვიჩა ბუკიას სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანი 2500 ლარის ოდენობით ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომლის ანაზღაურება მოახდინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ."

ეს დადგენილება მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ფინანსთა სამინისტროსთვის, ისე - ზუგდიდის რაიონული პროკურატურისთვის და მათ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიაკითხეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განაჩენით, უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის დადგენილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენა ამჯერად ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. კასატორმა ბუკიასთვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების თაობაზე უარის თქმა მოითხოვა, იმ მოტივით, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ხვიჩა ბუკიას მიმართ უნდა გამოყენებულიყო მორალური კომპენსაციის კანონით გან-

საზღვრული სხვა ფორმები.

უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის განაჩენით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი და საქმე ახალი სასამართლო განხილვისთვის დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

"საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული კანონის მიხედვით, მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავება ან დაპატიმრება. ამასთან, სასამართლომ აუცილებლად უნდა დაასაბუთოს დაკავების ან დაპატიმრების უკანონობა ან დაუსაბუთებლობა. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს თავიანთი გადაწყვეტილებებში არ უშეჯღლიათ იმის თაობაზე, თუ რაში გამოიხატებოდა რეაბილიტირებულ ხვიჩა ბუკიას დაპატიმრების უკანონობა. აღნიშნული გარემოებების სათანადოდ გარკვევამდე საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ხვიჩა ბუკიას სასარგებლოდ მორალური ზიანისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების დაკისრების კანონიერებაზე," - ასეთი მოტივაცია დაუდო საფუძვლად უზენაესმა სასამართლომ თავის განაჩენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განიხილა და 21 მაისს გადაწყვეტილება გამოიტანა. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ უდავოდ დადგენილი უკანონო საპროცესო მოქმედების შედეგად გამართლებულ ხვიჩა ბუკიაზე მორალური ზიანის მიყენების ფაქტი. თუმცა, საბოლოოდ, დაადგინა, რომ ბუკიას მოთხოვნა მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, იგი ზუგდიდის რაიონული პროკურატურის ნერილობითი მოზოღიშებით უნდა დაკმაყოფილდეს.

14 წლის გოგონა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს

მცხეთის რაიონში, სოფელ ჭოპორტში, 14 წლის გოგონა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს.

თვითმხილველების განცხადებით, გოგონა გზაზე მიდიოდა, როდესაც მას ტყვია მოხვდა. საფარად, ეს ბრმა ტყვია იყო, რადგან იქ მყოფ ხალხს გასროლის ხმა არ გაუგია.

თეონა ძაველური გულ-მკერდის არეშია დაჭრილი. ამჟამად გოგონა იაშვილის კლინიკაშია გადაყვანილი. 14 წლის მოზარდს უკვე ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ადგილობრივი პოლიცია იძიებს.

ვი-ეიზ-ენი

69 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის ანგარიში

ორგანიზაცია საქართველოს გამჭვირვალობა - საქართველოს მონაცემებით, 2008 წელს ქრთამი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2-მა პროცენტმა გასცა. შესაბამისი მონაცემები ორგანიზაციის მორიგ ანგარიშში არის გამოქვეყნებული, რომლის თემაა - გლობალური კორუფციის ბარომეტრი.

მასში 69 ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებია შეტანილი.

დოკუმენტში მოცემულია, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას კორუფციისადმი, უნეეთ თუ არა ადამიანებს ქრთამის გადახდა, მიიჩნევენ თუ არა თავს კორუფციით დაზარალებულად და როგორ აფასებენ თავიანთი ქვეყნის ხელისუფლების ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის თამარ ქაროსანიძის განმარტებით, კორუფცია "უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე - მექრთამეობა". კორუფციაში ასევე შედის ნეპოტიზმი, გავლენით ვაჭრობა თანამდებობის პირებს შორის და წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

ორგანიზაციის ანგარიშში ყველაზე დიდ ინტერესს ის კვლევა იწვევს, რომელიც საზოგადოებაში კორუფციის აღქმის ინდექსს შეეხება - მოქალაქეთა აზრით, რამდენად არის გავრცელებული კორუფცია ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რამდენად დადებითად აფასებს მოსახლეობა ხელისუფლების მიერ კორუფციასთან საბრძოლველად გატარებულ ღონისძიებებს და რამდენად ხშირად უნევის საზოგადოებას ქრთამის გაცემა.

კითხვას - მოგინათ თუ არა ქრთამის გადახდა გასული წლის განმავლობაში - აზერბაიჯანში დადებითად მოსახლეობის 46-მა, სომხეთში 43-მა, ხოლო საქართველოში მხოლოდ 2-მა პროცენტმა უპასუხა. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველომ ისეთი ქვეყნების გვერდით დაიმკვიდრა ადგილი, როგორც აშშ, დიდი ბრიტანეთი და ფინეთი.

ანგარიშში ასევე მოცემულია საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოში სასამართლო სისტემისადმი. როგორც გაირკვა, გასული წლების მსგავსად, სასამართლო სისტემა წელსაც მოსახლეობის ყველაზე ნაკლები ნდობით სარგებლობს. აღნიშნული სისტემისადმი ნდობა გამოკითხულთა მხოლოდ 14-მა პროცენტმა გამოხატა.

მედიაინუსი

დაკავების ორგანიზაციის შეფასება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს წევრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი გოჩა წიკლაური დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებისას წიკლაურს დაურეგისტრირებული ტტ"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა. გოჩა წიკლაურის დაკავების ფაქტის მისი თანაპარტიელების პოლიტიკური შეფასება მოჰყვა.

ეს არის პრობლემათა გადაჭრის ხელისუფლებას უფლება აქვთ. მივმართავთ უადინათა უფლებების დამცველებს, მედიასა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დაინტე-

რესდენ აღნიშნული ფაქტით და აქტიური მონიტორინგი გაუწიონ ძიების პროცესს. ჩვენი მხრიდან კი ვაცხადებთ, რომ ეს არის მორიგი გამოწვევა ხელისუფლების მხრიდან, არა მარტო ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის, არამედ მთელი ოპოზიციის მიმართ, - ასე შეაფასეს "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრებმა თანაპარტიელის დაკავება. მათივე განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით, უკვე ინფორმირებულია სახალხო დამცველის და ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების ოფისები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურის ყოფილი თანამშრომლის გოჩა წიკლაურის დაკავებასთან დაკავშირებით, გუშინ შს სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

"2009 წლის 6 ივნისს თბილისში, დიდძლის მასივში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარების ფაქტზე დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი გოჩა წიკლაური, რომელსაც თან აღმოაჩინდა დაურეგისტრირებული ტტ"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი. აღნიშნულ საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება," - ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

"დღიდან ვეძებდით ჩვენი ცენტრალური ოფისის თანამშრომელს გოჩა წიკლაურს. დაახლოებით სამ საათზე, მის ოჯახში მივიდა პოლიცია და სახლში ჩხრეკა ჩაატარა.

რა. სწორედ მაშინ უთხრეს ოჯახის წევრებს, რომ გოჩა წიკლაური დაკავებული იყო. თუმცა, არც მეუღლეს და არც ადვოკატს არ უთხრეს, სად და რა ბრალდებით ჰყავდათ ის დაკავებული. ჩვენი აზრით, რეალურად, იმ მომენტისთვის, ეს ადამიანი გატაცებული იყო. გოჩა წიკლაური ცენტრალურ ოფისში საორგანიზაციო დეპარტამენტის თანამშრომელია და აქვს პოლიციის ვიკე-პოლკოვნიკის ჩინი," - აცხადებს დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს მთავარი საბჭოს წევრი თეიმურაზ მურდულია. მისივე თქმით, პოლიციელებმა წიკლაურის ადვოკატს გამოძიების ტელეფონის ნომერი დაუტოვეს, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა.

საკუთარი ინფორმაცია

ერედში ოსი სერჟანტი მოკლეს

შიდა ქართლის რაიონის სოფელ ერედში ოსი სერჟანტი მოკლეს.

გავრცელებული ინფორმაციით, სოსლან გიბიზოვს რუსმა ჯარისკაცებმა ბოროდინმა და ტოლსტოვმა თავში ცული ჩაარტყეს, ორმოში ჩააგდეს და ავტომატის ხიშტით მრავალჯერადი ჭრილობები მიაყენეს.

გიბიზოვი 2 დღის განმავლობაში უზო-უკვლოდ დაკარგული ითვლებოდა. მისი ცხედარი შემთხვევით იპოვეს.

ცხინვალში განლაგებული რუსეთის საოკუპაციო ძალების სარდლობა ამ ფაქტის დამალვას ცდილობს.

პირველი

აფეთქება ბიჭვინთაში

ბიჭვინთაში მომხდარი აფეთქების შედეგად, დაიჭრა ადგილობრივი ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბესლან არძინბა.

აფხაზური ტელეკომპანია "აბაზას" ინფორმაციით, დაუდგენელი ასაფეთქებელი მოწყობილობა ე.წ. ადმინისტრაციის შენობასთან იყო დამონტაჟებული. არძინბა კიდურებში დაიჭრა. ადგილობრივმა მარიონეტულმა რეჟიმმა საქმე ტერორიზმის მუხლით აღძრა.

მედიაინუსი

თვითმკვლელობის მცდელობა ბათუმის ცენტრში

ბათუმელმა 50 წლის ბადრი ჟღენტმა მეშვიდე აბა- შიძის ქუჩაზე თავის დაწვა სცადა. მან ბენზინი გა- დაისხა და ცეცხლი მოიკიდა. ბადრი ჟღენტი გამე- ლელებმა დროულად შენიშნეს და მის სხეულზე გა- ჩენილი ხანძარი ჩააქრეს.

ადგილზე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა მივიდა. ექიმების განცხადებით, ბადრი ჟღენტს მხოლოდ ხარისხის დამწვრობა აქვს მიღებუ- ლი. მათივე თქმით ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გავრცელებული ინფორმაციით, ბადრი ჟღენტი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზად სამსახუ- რიდან, ერთ-ერთი კერძო კომპანიიდან გათავი- სუფლებას ასახელებს.

ჯი-ეიზ-ენი

მკვლელობის მოტივი უცნობია

ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის თანაშემწის, მუსოსტ ხუტიევის მკვლელობის მოტივი ამ დრომდე უცნო- ბია.

ხუტიევს ორი დღის წინ, თავდამსხმელებმა ქა- ლაქ არლუნში სავაჭრო ბაზის ტერიტორიაზე თავის არეში ესროლეს და მიიმალნენ. მკვლელობის ად- გილზე სამართალდამცველებმა 9 მილიმეტრიანი კალიბრის ტყვიები აღმოაჩინეს.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხ- ლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

მუსოსტ ხუტიევი 2000-2001 წლებში ქალაქ არ- ლუნის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგი- ლე იყო, ბოლო პერიოდში კი რესპუბლიკის ვიცე- პრემიერის ხალიდ ვაიხანოვის თანაშემწის თანამ- დებობაზე მუშაობდა.

პირველი

თვითმკვლელობები გუანტანამოს ციხეში

აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამხრეთის სარ- დლობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გუან- ტანამოს სამხედრო ბაზის ერთ-ერთი ტუსაღის, 31 წლის იემენელის მუჰამედ აჰმედ აბდალა სალხის თვითმკვლელობის შესახებ განაცხადა.

მუჰამედ აჰმედ აბდალა სალხი საკუთარ საკან- ში გარდაცვლილი იპოვეს.

პენტაგონი ამ დრომდე არ ავრცელებს ოფიცია- ლურ ინფორმაციას, თუ როგორ მოიკლა თავი ტუ- საღმა. თავად ფაქტის ერთდღიანი დაგვიანებით გავრცელების მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ პირველ რიგში, აუცილებელი იყო იემენის მთავრობისთვის შესაბამისი შეტყობინების გაკეთე- ბა. მუჰამედ აჰმედ აბდალა სალხი რიგით მეხუთე პატიმარია, რომელმაც გუანტანამოს სამხედრო ბა- ზაზე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. გუანტანამოს სამხედრო ბაზა 2002 წლის იანვარში გაიხსნა. სამმა პატიმარმა 2006 წლის ივნისში ჩამო- იხრჩო თავი, ერთმა კი - 2007 წლის მაისში დაასრუ- ლა სიცოცხლე თვითმკვლელობით.

საერთო მონაცემებით, გუანტანამოს ციხეში 775-ზე მეტი მუსულმანი პატიმარი იმყოფებოდა. მათგან დაახლოებით 450 ვაშინგტონმა იმ ქვეყნებს გადასცა, რომელი ქვეყნის მოქალაქეებიც ისინი იყ- ვნენ.

უფლებების დამცველი ორგანიზაციების მონა- ცემებით, აშშ-ს მთავრობა ახლაც აგრძელებს იმ პა- ტიმრების უფლებების დარღვევას, რომლებიც რჩე- ბიან გუანტანამოს ციხეში, მათ შორისაა 100 იემე- ნელი, რომლებისთვისაც ბრალი ჯერაც არ ნაუყე- ნებიათ.

მუჰამედ აჰმედ აბდალა სალხი კი გუანტანამო- ში 2002 წლის თებერვალში მოხვდა.

ალსანიშნავია, რომ ამ ციხის დახურვის შესახებ ბრძანებას აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 22 იანვარს მოაწერა ხელი, ანუ თავისი ინაუგურაციი- დან ორი დღის შემდეგ.

"ეს გადაწყვეტილება აშშ-ის ეროვნული ინტე- რესებისა და საგარეო პოლიტიკის ინტერესებს, ასევე მართლმსაჯულების ინტერესებს პასუხობს," - განაცხადა მაშინ ამერიკის შეერთებული შტატე- ბის ახალმა პრეზიდენტმა.

ციხის ლიკვიდაციისათვის ობამამ კონგრესს 80 მილიონი აშშ დოლარი სთხოვა. თუმცა სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ ობამას უარი უთხრეს ამ თანხების გამოყოფაზე და ადმინისტრაციას იმ ანგარიშის წარდგენა მოსთხოვეს, სადაც დეტალუ- რად იქნება განერილი იმ რისკების შეფასება, რომე- ლიც ამ პატიმრების ფედერალურ ციხეებში გადანა- ნილებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

ჯი-ეიზ-ენი

უძრავი ქონების რეგისტრაციის დისტანციურად

საჯარო რეგისტრის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი - საქართველოს ყველა ქალაქი და რაიონი უკვე ერთიან სარეგისტრაციო ქსელშია ჩართული. ამერიკიდან, ქვეყნის ყველა ქალაქისა და რაიონის სარეგისტრაციო სამსახურები მთლიანად გადავლენ ინტერნეტ-მომსახურებაზე, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს და გაამარტივებს მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების სარეგისტრაციო პროცედურებს.

როგორც საჯარო რესტრში განმარტავენ, ამ პროექტის ამოქმედებით, მოქალაქეებს საშუალება ექვება, საკუთარ- ი სახლიდან ან სამუშაო ადგი- ლიდან გაუსვლელოდ, დისტან- ციურად დაარეგისტრონ უძ- რავი ქონება საქართველოს ნე- ბისმიერ ქალაქსა თუ რაიონში. მაგალითად, მოქალაქე,

რომელიც იმყოფება თბილისში და ესაჭიროება მესტიაში მდე- ბარე უძრავი ქონების შესახებ საჯარო რეგისტრიდან ამონაწე- რი, ელექტრონულად ავსებს განაცხადის ფორმას ამონაწე- რის მოთხოვნის თაობაზე და ინტერნეტით გზავნის საჯარო რეგისტრში. სარეგისტრაციო სამსახური ერთ სამუშაო დღე- ში ამზადებს მოთხოვნილ დო- კუმენტებს, რომელსაც მოქა- ლაქე ასევე ინტერნეტით მიი- ლებს ნებისმიერ რეგიონში.

ერთიანი კომპიუტერული ქსელის შექმნის პროექტი 2006 წლის სექტემბრიდან დაიწყო და მის სრულად გახორციელე- ბას 2 წელი და 6 თვე დასჭირდა. ვებპროგრამა პირველად თბი- ლისის სარეგისტრაციო სამსა- ხურში დაინერგა, 2007 წლის ივლისიდან კი, სააგენტომ ტე- რიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ჩართვაც და- იწყო. დღეისთვის კომპიუტე- რულ ქსელში ჩართულია 64 სა-

რეგისტრაციო სამსახური. აღ- სანიშნავია, რომ ვებპროგრამა საჯარო რეგისტრის საინფორ- მაციო ტექნოლოგიების სამსა- ხურში შემუშავდა.

პროგრამის დანერგვამდე, ტერიტორიული სარეგისტრა- ციო სამსახურების თანამშ- რომლებმა სპეციალური სას- ნავლო კურსი გაიარეს.

პროგრამა, რომლის მისა- მართია www.reestri.gov.ge, მნიშვნელოვნად ამარტივებს რეგისტრაციის პროცედურებს, შესაბამისად, მოქალაქეებს სწრაფი, ხარისხიანი და ხელმი- სანვდომი მომსახურება გაენე- ვათ.

პროგრამის ამოქმედებით, საქმიანობა ასევე საგრძობ- ლად უმარტივდებათ უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედ კერ- ძო კომპანიებს: ბანკებს, ნოტა- რიუსებს, ბროკერებს, უძრავი ქონების სააგენტოებს. კომპა- ნიები, რომლებიც საჯარო რე- ესტრის ეროვნულ სააგენტოს-

თან ურთიერთთანამშრომლო- ბის მემორანდუმს გააფორმე- ბენ და ავტორიზებული მომხ- მარებლები გახდებიან, ენიჭე- ბათ პროგრამის ერთიან მონა- ცემთა ბაზაში შესვლის ინდივი- დუალური ნებართვა. ისინი ოფისიდან გაუსვლელოდ, ინ- ტერნეტით იღებენ საჯარო რე- ესტრის მონაცემთა ბაზაში და- ცულ მათთვის საჭირო ინფორ- მაციას. როგორც გაირკვა, დღეისთვის აღნიშნულ ვებ- პროგრამას წარმატებით იყე- ნებს საჯარო რეგისტრის 343 ავ- ტორიზებული მომხმარებელი.

საქართველოს მასშტაბით ვებ-პროგრამის დანერგვა ხელს შეწყობს საჯარო რეეს- ტრის ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბებას და ცენ- ტრალიზებული სარეგისტრა- ციო სისტემის შექმნას, - გან- მარტავენ საჯარო რეესტრის თანამშრომლები.

საკუთარი ინფორმაცია

თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზს გამოძიება ვერ აღბენს

მიუხედავად იმისა, რომ ატ- ლანტიკის ოკიანეში დაკარგუ- ლი კომპანია Air France-ს A-330 აერობუსის გაუჩინარების თაობაზე გამოძიება ინტენსი- ურად მიმდინარეობს, ამ დრომდე ვერ დგინდება თვით- მფრინავის კატასტროფის რეა- ლური მიზეზი. საქმე ისაა, რომ სინოპტიკოსები გამორიცხავენ ვერსიას, რომელიც მეტეო- როლოგიურ პირობებს უკავ- შირდებდა.

ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავთან კავშირის განწყვეტამდე სადისპეტჩერო- ში 24 შეტყობინება გაიგზავ- ნა, რომლის მიხედვითაც, თვითმფრინავის სხვადასხვა

მონყობილობები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდა მწყობრიდან.

ბრაზილიის სამხედრო სა- ჰაერო ძალების ოფიციალური წარმომადგენლის, ჟორჟ ამა- რალის ბოლო ინფორმაციით, ნაპოვნი ორი მამაკაცის ცხე- დარი და ატლანტიკის ოკიანე- ში დაკარგული კომპანია Air France-ს A-330 აერობუსის ნარჩენები.

ბრაზილიის სამხედრო სა- ჰაერო ძალების წარმომადგენ- ლის განმარტებით, ხუთდღიან- ი ინტენსიური ძებნის შედე- გად ნაპოვნი პირველი ცხედ- რები. საგანი კი, რომელიც პირველად საჰაერო ძალების

წარმომადგენლებმა აღმოაჩი- ნეს, იყო სავარძელი. ასევე ნა- პოვნი ნეილონის ჩანთა, რო- მელშიც პერსონალური კომპი- უტერი, ტყავის ჩემოდანი და სამგზავრო ბილეთია მოთავსე- ბული. ცხედრები და საგნები ნაპოვნი არქიპელაგ ფერდუ- ნანდუ-დი-ნორონიდან 450 საზღვაო მილში. რაიონში, სა- დაც თვითმფრინავმა კატასტ- როფა განიცადა, აქ ოკეანის მაქსიმალური სიღრმე 4700 მეტრია.

ავიაკატასტროფის შედე- გად 228 ადამიანი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაცი- ით, A-330 -ის ბორტზე ეკიპაჟ- ის 12 წევრი და 32 ქვეყნის 216

მოქალაქე იმყოფებოდა. მათ შორის: 72 ფრანგი, 59 ბრაზი- ლელი, 26 გერმანელი, 9 იტა- ლელი, 9 ჩინელი, ექვსი შვეი- ცარელი, ხუთი ლივანელი, ხუ- თი ბრიტანელი, ოთხი უნგრე- ლი, სამი ირლანდიელი, სამი ნორვეგიელი, სამი სლოვაკი, ესანეთის, მაროკოს, პოლონე- თისა და აშშ-ის ორ-ორი მოქა- ლაქე, ასევე, სამხრეთ აფრიკე- ლი, არგენტინელი, ავსტრიე- ლი, ბელგიელი, გაბონელი, ის- ლანდიელი, ფილიპინელი, რუ- მინელი, რუსი, თურქი, კანადე- ლი, ესტონელი, ჰოლანდიელი, შვედი, დანიელი და ხორვატი მთხალაქეები.

153 პატიმრობა 25 წლის განმავლობაში



ამერიკელმა სამართალ- დამცველებმა რეკორდი დაამ- ყარეს - ერთი და იგივე ადამიან- ი 153-ჯერ დააკავეს.

გორტსმუტში მცხოვრე- ბი 49 წლის პოლ ბოლდუინი მუდმივად კონფლიქტშია კანონთან, - ასე ხსნიან სამარ- თალდამცველები დაკავების რეკორდულ მაჩვენებელს. პოლ ბოლდუინს ამჯერად ფიზიკუ- რი ძალადობა ბრალდება. მან ქუჩაში გამგლეულ უცნობ მამა- კაცს, რომელთანაც შეკამათე- ბა მოუვიდა, სახეში მუშტი და- არტყა. ორ დღეში კი სასამარ- თლოს წინამე წარდგა და უც- ნობზე თავდასხმა აღიარა. არადა, პოლ ბოლდუინი 152-ე პატიმრობიდან ამ დანაშაუ- ლამდე ერთი კვირით ადრე გა- თავისუფლდა. ბოლოს მას ერ- თნლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

მისთვის ციხე უკვე და- სასვენებელი და სამკურნა- ლო დანესებულია გახდა. მი- სი პატიმრობის ისტორიაში

ხშირია შემთხვევები, როდე- საც ციხიდან გასული ორ დღეში, ერთ კვირაში, ან ორ კვირაში უკან ბრუნდება ახა- ლი დანაშაულისთვის, - აცხადებენ ამერიკელი სამარ- თალდამცველები.

პოლ ბოლდუინის კრიმინა-

ლური ისტორია 1984 წლიდან იწყება. სხვის ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრა, სხვისი დო- კუმენტებით სარგებლობა, სა- ბუთების გაყალბება, ქუჩაში გამგლელებთან კონფლიქტში შესვლა და თავდასხმა ძალის გამოყენებით - ეს ის დანაშაუ-

ლებია, რომლებიც პოლ ბოლ- დუინმა მრავალჯერ ჩაიდინა.

როგორც პროკურორი რენა დილანდო აცხადებს, მას დროც კი არ ეყო იმისთვის, რომ სრულად და საფუძვლიანად გაცნობოდა პოლ ბოლდუ- ინის კრიმინალურ დოისეს.

ბოლდუინს იმდენი წვრილ-წვრილი დანაშაული აქვს ჩადენილი, თანაც - ერთ- ნაირი, რომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმეების დეტა- ლურად შესწავლა, პრაქტი- კულად, შეუძლებელი აღმოჩ- ნდა, - ამბობს პროკურორი.

ჩემი დაკავებისა და პა- ტიმრობის კურიოზული, რე- კორდული ციფრი ჩემივე დამსახურებაა. ყველაფერ ვაკეთებდი იმისთვის, რომ ალკოჰოლზე დამოკიდებუ- ლებას გადავჩვეოდი, - ასეთი განცხადება გააკეთა ბოლო, 153-ე დაკავების შემდეგ პოლ ბოლდუინმა მოსამართლეების წინაშე.

ევროპარლამენტის არჩევნები

პირველი გვერდი



AFP - 2009

და ულტრამარჯვენე, პოპულისტური და ანტიევროპული პარტიების მაღალი შედეგი. ევროპარლამენტის არჩევნებზე მოქალაქეთა გამოცხადების მაჩვენებელი განუზრვავლად ეცემა - გასულ წელს მან მხოლოდ საერთო რაოდენობის 45 პროცენტი შეადგინა.

იმ ქვეყნებიდან, სადაც არჩევნები უკვე ჩატარდა, შედეგი ნიდერლანდებში გამოაცხადა, რაც ევროპული ნორმების დარღვევაა. პოლანდიაში დაფიქსირებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ევროპულ პოლიტიკოლოგთა ყველაზე უარესი პროგნოზები გამართლდა - ამომრჩეველთა აქტივობამ 36.5 პროცენტი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით მაჩვენებელია 3.1 პროცენტით იკლო), ხოლო ხმების მიხედვით მეორე ადგილზე 17 პროცენტით გირტ ვილდერსის ექსტრემისტული თავისუფლების პარტია გავიდა. ექსპერტები პრაქტიკულად დარწმუნებული არიან, რომ მსგავსი სურათი დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, სლოვაკეთსა და ბულგარეთშიც განმეორდება და შიშობენ, რომ ამ ქვეყნების მაგალითს ორგანიზაციის სხვა წევრი ქვეყნებიც მიბაძავენ.

ევროპარლამენტის არჩევნები ეროვნულ დონეზე ადგილობრივ კანონმდებლობათა შესაბამისად ტარდება. სწორედ მათ შორის არსებული სხვაობით აისხნება ხმის მიცემის პროცედურის სხვადასხვა დღეებში ჩატარება.

სისტემა - შეცვლილი, მაგრამ იმის გამო, რომ ორწლიანი დებატების მიუხედავად, დოკუმენტი ძალაში დღემდე არ შესულა, ახალი წესები მხოლოდ ახალი მოწვევის პარლამენტში ამოქმედდება, რომლის არჩევნებიც 2014 წელს ჩატარდება.

ევროკავშირის სახელმწიფოებში მიმდინარე არჩევნებში ადგილობრივი პოლიტიკური პარტიები კანდიდატთა საკუთარი სიებით მონაწილეობენ, რომელთა შორისაც, არჩევნების შედეგების მიხედვით, გადანაწილდება დეპუტატთა კვოტა. ევროპარლამენტში 9 ძირითადი ფრაქციაა, რომლებიც პოლიტიკური სპექტრის მიმართულებებს შეესაბამება და საერთო ევროპული პარტიების მიერ არის წარდგენილი.

მთავარ ევროპულ პოლიტიკურ ძალას ცენტრისტული ევროპული სახალხო პარტია წარმოადგენს, რომელთანაც, ტრადიციულად, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიები ასოცირდება. მისი წევრები არიან ევროკავშირის 48 შიდაპოლიტიკური პარტია და ასოცირებულ წევრთა 25 პარტია, რომლებიც ევროპარლამენტის არჩევნებში არ მონაწილეობენ. მას მოჰყვებიან სოციალისტები - ევროპის სოციალისტური პარტია და ლიბერალ-დემოკრატები - ევროპის ლიბერალ-დემოკრატიული და რეფორმისტული პარტიები.

ევროპარლამენტის წინა არჩევნებზე - 2004 წელს - გამარჯვება მოიპოვა ევროპის "მწვანეთა" პარტიამაც. ამ ოთხ ძირითად ჯგუფს მოჰყ-

ბის რაოდენობას და რეალურად რთული მოლაპარაკებებისა და სახელმწიფოებს შორის კომპრომისის შედეგად არის მიღწეული. მაგალითად, გერმანიას, რომლის მოსახლეობა 83.5 მილიონი ადამიანია, ევროპარლამენტში 99 ადგილი აქვს, ხოლო კვიპროსს, სადაც 100-ჯერ ნაკლები ადამიანი ცხოვრობს - 6 ადგილი.

ევროკავშირის ახალ, ლისაბონის შეთანხმებაში ევროპარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა შემცირებულია და კვოტების გადანაწილები

ვება ხუთი შედარებით მცირე პოლიტიკური ბლოკი, რომლებიც ასევე 2004 წლის არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდნენ. მათ შორის არის ევროპულ მემარცხენეთა პროკომუნისტური პარტია.

ევროკავშირის წევრ ქვეყანათა პარტიების უმრავლესობა საერთო ევროპული პარტიების გაერთიანების წევრები არიან. ამიტომ არჩევნების შემდეგ დეპუტატები ავტომატურად ხდებიან ამ საერთო ევროპულ პარტიათა ფრაქციების წევრები. რაც შეეხება იმ პარტიების დეპუტატებს, რომლებიც არ არიან საერთო ევროპული პარტიების წევრები, მათ აქვთ უფლება, ევროპარლამენტში მოხვედრის შემდეგ შეუერთდნენ უკვე არსებულ რომელიმე ფრაქციას, ჩამოაყალიბონ ახალი ან დარჩენენ დამოუკიდებლები.

იმის გამო, რომ ევროკავშირი არის არა სახელმწიფო, არამედ სახელმწიფოთა გაერთიანება, ევროპარლამენტი თავიდანვე შეიქმნა არა საკანონმდებლო, არამედ მხოლოდ საკონსულტაციო ორგანოდ. თუმცა მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში მან სულ უფრო მეტი ძალაუფლების აკუმულირება დაიწყო, რაც არა მხოლოდ ევროკომისიის დანაშაულს ან გაერთიანების ბიუჯეტის დამტკიცებას გულისხმობს, არამედ ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის გადაწყვეტილებების შესახებ კრიტიკული "აზრების" გამოთქმასაც.

ბრძოლა ამაზონის ტყეებისთვის

მარიკა იაზვილი

გათავისუფლება მოხერხდა, ხოლო კიდევ შვიდი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. ასეთ მონაცემებს ქვეყნის პოლიციის უფროსი მიგელ იდალგო ავრცელებს.

შეჯახება ინდიელებსა და ხელისუფლებას შორის მაშინ დაიწყო, როდესაც ისინი აქციის მონაწილეთა მიერ ბლოკირებული ავტომანქანების გათავისუფლებას ცდილობდნენ.

განვითარებული მოვლენების შესახებ განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება. ინდიელთა ლიდერი აცხადებს, რომ კანონის დამცველებმა გზის განაპირას მიწინააღმდეგე ალყა შემოარტყეს, ცრემლსადენი გაზი გაუშვეს და ვერტმფრენებიდან ცეცხლი გახსნეს. ხელისუფლებაში კი ამტკიცებენ, რომ ბლოკადის მონაწილეები შეიარაღებულები იყვნენ და სროლა პირველებმა დაიწყეს.

ამის შემდეგ, დაახლოებით, ათასი ადამიანი ნავთობგადამამუშავებელ საწარმოს დაესხა თავს და პოლიციელები, რომლებიც მას იცავდნენ, მძევლად აიყვანეს.

ოფიციალური ვერსიით, აბორიგენებს შორის 5 ადამიანი დაიღუპა და 100-მდე დაშავდა. თუმცა ინდიელები ამტკიცებენ, რომ 30 ადამიანი გარდაცვლილი. არსებობს ინფორმაცია, რომ შეტაკებებს სამართალდაცავების მხრიდანაც სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. ლაპარაკია, დაახლოებით, 20 დაღუპულზე.

მიმხდარის გამო ხელისუფლებამ

რაიონში კომენდანტის საათი გამოაცხადა და 72 ადამიანი დააკავა.

ძალადობის მსგავსი ფაქტები ქვეყანაში 1990-იანი წლებიდან აღარ მომხდარა, მას შემდეგ რაც ულტრამარცხენე შეიარაღებული დაჯგუფება "სენდერო ლუმინოსო" ("ნათელი გზა") განადგურდა.

პროტესტის ახალი ტალღა პერუში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს მოჰყვა, რომლებიც უცხოელებს ამაზონის ტყეების ჯერ კიდევ ხელუხლებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობის უფლებას აძლევს. ამ საკითხზე საპროტესტო გამოსვლები პერუში აპრილში დაიწყო.

ინდიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ლუის ხუანსიმ კორესპონდენტებს გა-

ნუცხადა, რომ მის 8.5 ათასზე მეტ მომხრეს ქალაქ ლიმაში ირგვლივ "სტრატეგიული პოზიციები აქვს დაკავებული." ხუანსის თქმით, ბრძოლაში ისინი ტრადიციული იარაღის - შუბების გამოყენებას აპირებენ, რომლებიც მათი წინაპრები სარგებლობდნენ.

პერუს პრემიერ-მინისტრი აპუდ სიმონი აქციის მონაწილეებს "დემოკრატიის წინააღმდეგ შეთქმულებაში" ადანაშაულებს და მათ პასუხად აცხადებს, რომ ქვეყნის სიმდიდრე ყველას ეკუთვნის და ხელისუფლება მზად არის, ამაზონის ჯერ კიდევ აუთვისებული ტერიტორიის 80 მილიონი ჰექტარიდან 12 მილიონი ძველებურად აუთვისებელი დატოვოს.

ლიბანი პარლამენტს ირჩევს

პროდასავლელებს და პროსირიელებს თანაბარი შანსები აქვთ

მწვავე დაპირისპირება, შეიძლება ითქვას - ბრძოლა თითოეული ხმისთვის, ქრისტიანულ ოლქებში გაიმართება, სადაც მმართველი კოალიციის მხარდამჭერი პარტიები და ტრადიციული კლანები ცდილობენ, თავისუფალი პატრიოტული მოძრაობის ხელმძღვანელის, პოპულისტ გენერალ მიშელ აუნას ხელახალი ტრიუმფი არ დაუშვან.

უკიდურესობამდე დაიძაბა ვითარება საიდში - სამხრეთ ლიბანის დედაქალაქში. ხოლო ბერუთსა და ტრიპოლში არჩევნების შედეგები, შეიძლება ითქვას, წინასწარვეა გადაწყვეტილი ბლოკ "ალ-მუსტაკაბალის" სასარგებლოდ, რომელსაც სუნიტი პოლიტიკოსი საად ჰარირი ხელმძღვანელობს. სამხრეთ ოლქებსა და ბექას ველზე შიიტური დაჯგუფებები "ამალი" და "ჰეზბოლა" დომინირებენ. როგორც სოციოლოგები ამტკიცებენ, ლიბანური საზოგადოების ასეთი პოლარიზება 1975 - 1990 წლების სამოქალაქო ომის დრო-

საც კი არ შეინიშნებოდა. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 88 პროცენტი "სახელმწიფოს არ ენდობა და პოლიტიკური ვაკუუმის ეშინია," ისინი პირველ ადგილზე რელიგიურ კუთვნილებას აყენებენ.

შექმნილ ვითარებაში იზრდება პრეზიდენტ მიშელ სულეიმანის, როგორც კომპრომისული ფიგურის მნიშვნელობა. სულეიმანი ერთი წლის წინ პრეზიდენტის პოსტზე კონსენსუსის საფუძველზე აირჩიეს. ყოფილი სამხედრო მეთაური, როგორც ჩანს, "ერის უმაღლესი არბიტრის" როლს შეინარჩუნებს. არ არის გამორიცხებული, რომ მისი მხარდამჭერების ჯგუფმა ახალ პარლამენტში პროპრეზიდენტური ბლოკიც შექმნას, რომელსაც კოალიციური კაბინეტის ჩამოყალიბების დროს გადამწყვეტი სიტყვა ერგება.

მიიჩნევა, რომ ლიბანის ახალი პრემიერის პოსტის დაკავების ყველაზე დიდი შანსი ნაჯიბ მიკატის აქვს - მსხვილ ბიზნესმენს

ტრიპოლიდან, რომელიც 4 წლის წინ, კედრების რევოლუციის შემდეგ, გარდამავალ მთავრობას ედგა სათავეში.

მარიკა იაზვილი

ლიბანში სტარტი აიღო საპარლამენტო არჩევნებმა, რომელსაც ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. 26 ოლქში 1735 საარჩევნო უბანი ადგილობრივი დროით 07:00 საათზე გაიხსნა. საარჩევნო სიებში 21 წელს ზემოთ ასაკის 3.3 მილიონი ადამიანი შეყვანილი. 128 სადეპუტატო მანდატისთვის 580 კადიდატი იბრძვის.

წინასწარჩვენო პროგნოზების მიხედვით, ამჟამინდელ პროდასავლურ საპარლამენტო უმრავლესობასა და პროსირიულ ოპოზიციას წარმატების ერთნაირი შანსი და მომავალ პარლამენტში გარანტირებული 50-60 ადგილი აქვთ. არჩევნებზე მთავარი ბრძოლა, ძირითადად, დარჩენილი მანდატებისთვის გაიმართება, რომელთა ფლობაც რომელიმე პარტიას უმნიშვნელო უპირატესობას მიანიჭებს.

წინასწარჩვენო პროგნოზების მიხედვით, ამჟამინდელ პროდასავლურ საპარლამენტო უმრავლესობასა და პროსირიულ ოპოზიციას წარმატების ერთნაირი შანსი და მომავალ პარლამენტში გარანტირებული 50-60 ადგილი აქვთ. არჩევნებზე მთავარი ბრძოლა, ძირითადად, დარჩენილი მანდატებისთვის გაიმართება, რომელთა ფლობაც რომელიმე პარტიას უმნიშვნელო უპირატესობას მიანიჭებს.

შ.პ.ს. "ზღაქ სი ბრუპი"
აცხადებს ტენდერს არმატურის შესყიდვაზე

დიაგნოტიკური - 6 მმ. - 2,51 ტონა
 დიაგნოტიკური - 8 მმ. - 24,65 ტონა
 დიაგნოტიკური - 10 მმ. - 80,71 ტონა
 დიაგნოტიკური - 12 მმ. - 163,31 ტონა
 დიაგნოტიკური - 14 მმ. - 24,48 ტონა

შემოთავაზებული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

ფოლადი უნდა იყოს A III ტიპის. მწარმოებელი ორგანიზაცია უნდა ფლობდეს და წარმოგივადგინოს ძალაში მყოფი CARES საექსპლოატაციის სერტიფიკატი ან აღნიშნული სერტიფიკატის სრულად ექვივალენტური სქემა.

საკონტაქტო პირი: დავით ვასაძე 877-52-56-57
 bsgvasadze@mail.ru
 ოფისი: 20-74-74, 20-74-75 ფაქსი: 20-74-20

სტაბილურობისთვის...
 სიმშვიდისთვის...
 გარანტირებული
 სარგებლისთვის...
 მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც
მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე
 ენდობა!



ბანკი რესპუბლიკა
 BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსოქოა ჟანოჩიანი

"გამოტანარი" ანატანარი

გახსნა!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალებიდან - უფასო

(822) 92 55 55
www.republic.ge



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგინებენ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



ლგლენი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიისა და ახალი ისტორიის კოლექციების ფერადი ლითონების ფონდში უნიკალური მასალა ინახება.

რა არის ლგლენი და რატომ არის ის ასეთი საინტერესო ექსპონატი?

ლგლენის ერთადერთი და საუკეთესო ეგზემპლარი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ეთნოგრაფიისა და ახალი ისტორიის კოლექციების ფერადი ლითონების ფონდშია დაცული. ის, სავარაუდოდ, მე-18 საუკუნეში უნდა იყოს გაჭედილი.

სპილენძის დიდი ზომის ქვაბს სამსხვერპლო საკლავის მოსახარმად იყენებდნენ. ეს "ექსესართულიანი", სპილენძის 52 ფურცლისაგან შეკერილი უზარმაზარი ქვაბია ერთმანეთზე მიღებული ფირფიტები კი სპილენძის დიდი ზომის "მანჭვლებით" არის გადაკერებული. იგივე "კოპები", "კვებ"-ებით ანუ "ფოლაქებით", რომლებიც სიმეტრიულად არიან განლაგებული ქვაბის ზედაპირზე.

ამ უნიკალური სპილენძის ქვაბის ზომებია: სიმაღლე 128სმ, გარშემოწერილობა 3 მეტრი, პირის დიამეტრი კი 90სმ. სარიტუალო ქვაბი 100 კგ-მდე იწონის.

ლგლენი ოჯახის საკუთრებას იმეათად წარმოადგენდა. იგი ეკლესიის საკუთრება იყო და "ლადბაშ"-ში ინახავდნენ. დიდი სათემო დღესასწაულის "ბაცხ"-ის დროს ლგლენში მიცვალებულის სულის მოსახსენებლად განკუთვნილ საკლავს ხარშავდნენ.

უზარმაზარ ქუჩაში ერთი ხარი ან რამდენიმე ძროხა ეტეოდა. წესად ყოფილა ლგლენის განათხოვრება. ქვაბი ძვირადღირებული იყო და სავსე ხორბალზე ან ქერზე იცვლებოდა, ან ერთ დღიურ ყაზაზე იყიდებოდა... ყოფილა შემთხვევა მის მფლობელს იგი შვილის ხელობის (მჭედლობა) შესწავლის საფასურად გადაუხდია.

*ცისანა კაკაბაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი*



ნა ვაკაძე


თბილისს ჯერ კიდევ ახსოვს ფესტივალ Tbilisi open air-ის რიტმები, რამდენიმე დღეში კი ჩვენი ქალაქი კიდევ ერთი, თუმცა გაცილებით დიდი ისტორიის მქონე ფესტივალის მასპინძელი გახდება. კავკასიის როკ ფესტივალი, რომელსაც ორგანიზებას ლადო ბურდული უწევს, ამჯერადაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, ასევე ერევნიდან, ბაქოდან და მიუნხენიდან ჩამოსულ ჯგუფებს უმასპინძლებს.

საფესტივლო კონცერტები კლუბ 33 ა-შია დაგეგმილი. 12 და 13 ივნისის დღის განრიგი კი ასეთია: ფესტივალს ბაქოდან ჩამოსული ჯგუფი Ozan გახსნის. მას გორელი მუსიკოსებით დაკომპლექტებული Teo & Friends ჩაენაცვლებს, შემდეგ თბილისური Tekescope-ს დრო დეგება, რომელსაც სამტრედიალი როკი მოჰყვება Labirynt-ის შესრულებით. პირველ საფესტივლო დღეს ერევნიდან უწევს გამოსვლა ბამბირ დახურავს. 13 ივნისის პირველი ჯგუფი ქუთაისური Somali-ა. ბათუმიდან ფესტივალში მონაწილეობისთვის Plasticzzz ჩამოიდა, რომელსაც სცენაზე თბილისური და უკვე საქმიად სახელმოხვეჭილი Me & my monkey შეცვლის. მე და ჩემი მაიმუნის მომდევნო ჯგუფია ასევე თბილისური Vitamin, ხოლო ფესტივალს გერმანული Dyko დახურავს.

Dyko-ს მთავარი მასპინძელი თბილისის გოეთეს ინსტიტუტია, ჯგუფის შესახებ ინფორმაციასაც სწორედ ის გვანდობს. Dyko ერთი კონკრეტული ადამიანია - ავსტრალიური წარმოშობის ჯონ ბარი დაიკი, რომელიც მუსიკასა და საკონცერტო გამოსვლების განვითარებაზე ვიზუალურ მასალას ქრისტოფო იოსტთან ერთად ქმნის. როგორც ირკვევა, ჯგუფი საკუთარი მუსიკით გერმანული ენისა და კულტურის პოპულარი-

ალტერნატიული სცენა

კავკასიის როკ ფესტივალი 12-13 ივნისს გაიმართება



ზაციასაც ეწევა, ხოლო მათი მუსიკა გერმანული ენის გაკვეთილებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამავეს ემსახურება ვიზუალური ნაწილიც - კონცერტს ფონად 70-იანი წლების ენის შემსწავლელი ვიდეოკურსებიდან ალბომი მასალა გასდევს. Dyko-ს კომპოზიციების ტექსტებიც სპეციფიკურია. მათში ჯონ ბარი დაიკი გერმანული ყოფითა და ენით აღწერილობას გამოხატავს. მუსიკალურად კი ჯგუფი ბაუჰაუს-კონცეპტსა და 70-80-იანი წლების ელექტრო პოპსა და ნიუ ვეივის მიმდინარეობებს ეფუძნება. მუსიკოსები არ მალავენ, რომ მათ შემოქმედებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ცნობილმა Kraftwerk-მა, ნინა ჰაგენმა და თვით დევიდ ბოუიმაც კი. Kraftwerk-ი Dyko-სთან მხოლოდ ამ მხრივ არაა კავშირში - არის კონცერტები, როდესაც მათთან ერთად სცენაზე ამ ცნობილი ჯგუფის ყოფილი დრამერი, ვოლფგანგ ფლიუსიცი გამოდის ხოლმე.

რაც შეეხება თავად ფესტივალს, ლადო ბურდულმა ის ჯერ

კიდევ 1995 წელს დააარსა სახელწოდებით მერცხლები გაზაფხულზე ბრუნდებიან და რუსთაველის თეატრის დარბაზში ტარდებოდა. სწორედ ამ ფესტივალის დამსახურებაა, რომ დღეს ნინო ქათამაძის სახელი ბევრისთვისაა ცნობილი. მას შემდეგ ფესტივალი შეიქმნა დაგვარად რეგულარად ტარდებოდა, თუმცა იყო ხანგრძლივი შესვენებებიც. ამის მიზეზი კი პირველ რიგში ისაა, რომ ფესტივალი დაბოუქმდებოდა, რაც მის სახელმწიფოს მხრიდან დაუფიციანსებლობას ნიშნავს. ყოველი ფესტივალისთვის მზადდებიან თბილისის მერიას და კულტურის სამინისტროს მიმართავს, თუმცა უშედეგოდ - ჩვენითვის ფული არასდროს აქვთ, - ამბობს ლადო ბურდული.

კავკასიის როკ ფესტივალს მუსიკალური გარდა ირიბად პოლიტიკურ-სოციალური დატვირთვაც აქვს. სოციალური იმ მხრივ, რომ სცენაზე გამოვლის საშუალება ეძლევა ნაკლებად ცნობილ ჯგუფებს და რაც მთა-

ვარია რეგიონებში მოღვაწე მუსიკოსებს. ეს კი მათთვის უზარმაზარი შანსია მსმენელი შეიძინონ და ნორმალურ აპარატურაზე დაკერის შანსი გამოიყენონ. პოლიტიკური დატვირთვა კი თუნცაც იმაში გამოიხატება, რომ ერთ სცენაზე სომეხი და აზერბაიჯანელი მუსიკოსები გამოვლენ. სამომავლოდ ფესტივალს ამ მიმართულებით გაცილებით მნიშვნელოვანი გეგმები აქვს - არ არის გამორიცხული მალე თბილისში ოსი და აფხაზი მუსიკოსებიც ჩამოვიდნენ. ამ რეგიონებში რამდენიმე როკ ჯგუფია, რომლებთანაც კონტაქტი მაქვს. მუსიკოსებს აქვთ თბილისში ჩამოსვლისა და ფესტივალში მონაწილეობის სურვილი, თუმცა აქვთ თავიანთი მთავრობების მიმძი. იგივე პრობლემა აქვთ ჩრდილოეთ ოსეთის ჯგუფებსაც, - აღნიშნა ლადო ბურდულმა.

ფესტივალის სურვილებში არ შედის მხოლოდ კონკრეტული ჯგუფების კონცერტების გამართვა. არსებობს კავკასიაში მუსიკალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზანიც, რათა აქაურმა მუსიკოსებმა საკუთარი შემოქმედებით ანაზღაურებაც მიიღონ და რაც მთავარია მათ შესახებ საზღვარგარეთაც შეიტყონ. ფესტივალზე პრიორიტეტი ძირითადად ახალბედა შემსრულებლებს ენიჭება, რომლებიც მშობლიურ ენაზე მღერიან და ამით გაცილებით საინტერესო არიან. თუ საქართველოში მსგავსი ღონისძიებები არ გაიმართება, მსოფლიო ვერასდროს გაიგებს, რომ ჩვენც რიგითი ევროპული აზროვნების მქონე ქვეყანა ვართ და არა მხოლოდ ფოლკლორსა და ძველ ტრადიციებზე მიმბრუნებული ერი, - ამბობს ლადო ბურდული და თავისი ძველი გიტარის აწყობას იწყებს...

lib.ge-ს რჩეულები

გამოვლინდა ელექტრონული ბიბლიოთეკის კონკურსის საუკეთესო ნაწარმოებები

ჯაკ ჩიკაიძე

ელექტრონულმა ბიბლიოთეკა lib.ge-მ ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა. პროზისა და პოეზიის ნომინაციების რჩეული სამეულეები უკვე დასახელებულია და მომდევნო 12 თვის განმავლობაში სწორედ ისინი შეინარჩუნებენ წლის საუკეთესო ავტორების ნოდებს. თუმცა ეს ნოდება მხოლოდ lib.ge-ს ვერსიით ექნებათ მინიჭებული, რადგან საქართველოში რამდენი ლიტერატურისაც არსებობს და ყველას საკუთარი ფავორიტები ჰყავს.

ქართულ ინტერნეტსივრცეში რამდენიმე ლიტერატურული საიტი (გნებავეთ პორტალი ან უფრო მეტი - ელექტრონული ბიბლიოთეკა) მუშაობს. თვითონველ მათგანს განსახვავებული დანიშნულება და მიმართულება აქვს. მაგალითად Literatura.ge-ს პორტალზე ახალი ნაწარმოებების (როგორც წესი ახალგაზრდა, დაწყებული ავტორების) გაცნობის, განხილვისა თუ შეფასების საშუალება გვეძლევა. გარდა ამისა, თუ ამ საიტის ფორუმზეც განვიხილავთ, იმავე ავტორებთან სხვადასხვა თემაზეც ისაუბრებთ, ცოტა ხანში კი პირადად გაცნობასაც შეძლებთ. კიდევ ერთი მსგავსი ტიპის საიტი Urakparaki.ge, რომელსაც აქვს

მცდელობა, Literatura.ge-ს ალტერნატივას წარმოადგინდეს, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბებს მოიცავს და შესაძლოა ვერც აქაური წევრების სახელგებმა გითხრან იმაზე მეტი, ვიდრე მათი ნაწარმოებებია. lib.ge კი ელექტრონული ბიბლიოთეკაა ვრცელი არქივითა და ახლა უკვე საკუთარი კონკურსით.

ამ საიტის კონკურსი თბილისი საკრებულოს მხარდაჭერით იმართება, რაც მის ანგარიშზე დამატებით ქულებს რიცხავს, თუმცა საპროზო ფონდის ანგარიშს დიდ ვერაფერს მატებს. ორივე ნომინაციაში პირველ ადგილზე გასული ავტორებისთვის 500 ლარი იყო დაწესებული, მეორე ადგილზე გასულს 400 ლარიანი კონკურტი გადასცეს, მესამეადგილოსნებმა კი ასი ლარი ნაკლები მიიღეს. კონკურსის განსახვავებული ჰქონდა ასაკობრივი ზღვარიც - 18-დან 40 წლამდე. საკონკურსო ნაწარმოები კი არსად არ უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული ინტერნეტსივრცის გარდა. კონკურსის ფორუმში ზაად ჩხვიძე, ნათია ნაცვლიძე, დიანა ანფიმიანი, ქეთო ნინიძე, საკრებულოს წარმომადგენელი ლაშა იმედავილი და მონვეული სპეციალისტები: ლევან ბრეგვაძე და ვაგა ლომიძე შედიოდნენ.

ჟიურის ხმები კი ასე გადაწინადა: პროზის ნომინაციაში მეს-

მე ადგილი ალექო ცქიტიშვილს ხვდა მოთხრობისთვის შემწეული შეცდომების გასწორება, მეორე ადგილზე გურამ ნავროზაშვილი გავიდა სრულიად ახსურდული უნივერსალური საღვინ-სადრესელოთი, ხოლო პირველი ადგილი შარშანდელი წეროს მეორეადგილოსან ნინო თარხნიშვილს ერგო მოთხრობისთვის ქაბულში ყვავილების ქუჩაზე.

პოეზიის ნომინაციაშიც სამი გამარჯვებული გამოვლინდა: ხესთან იდენტობის გაცნობიერების პროცესის ავტორი ალექსა ჩიღვინაძე, ეკა ქვენიშვილი ლექსით გოგონებისთვის, ხოლო გამარჯვება მალვა ბაკურაძეს ხვდა ლექსითთვის საღვთომან ნისლმან. მანვე მიიღო პრიზი რადიო მუზასგან - კონცერტებზე საღვთო ორკესტრის ანთოლოგია, 14 დისკიანი საკონცერტო ჩანაწერი. საკუთარი პრიზები ჰქონდა დაწესებული ჟურნალ მადიანსაც - ექვსივე პრიზიორმა ჟურნალის ნომრები და თელიანის ველის მიერ მადიანის ეტიკეტიტ ჩამოსხმული ღვინო მიიღო. გამომცემლობა სიესტა კი კონკურსის ფინალში გასული ნომინატების ნაწარმოებებს საერთო კრებულში გააერთიანებს. კრებულში შემდეგი ავტორები და ნაწარმოებები შევა: ირა ანდლელაძე დამემაძე, ალექსა ჩიღვინაძე ხესთან იდენტობის გაცნობიერ-

ბის პროცესი, ზურა ჯიშკარიანი ავტოსაგზაო მოძრაობის წესები, რეზო გეთიაშვილი ზღვის პოემა, სანდრო ლორთქიფანიძე ცათამბჯენები, ეკა ქვენიშვილი გოგონებისთვის, კოკა არჩვაძე კეთილშინაობა, მალვა ბაკურაძე საღვთომან ნისლმან, ნინო სადლობე-ლაშვილი სახედარი, ბელა ჩეკურიშვილი ღია ბარათი ანუ, მე ვხედავ დედას, თეა თოფურია წასვლა დაიწყე, ქეთი თუთბერიძე პიანინო ანუ რიტუალი არიელისთვის, პაატა შამუგია მომხდართა ლოცვა, სალომე შენგელიძე რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე, თამთა დლოიძე თუ, ბესო ხვედელიძე ყვითელი ზოლი, რატი რატიანი Bravo Pour Le Clown, ნესტან-ნენე კვიციანიძე დევიები მთებში ნვანან, ნინო თარხნიშვილი ქაბულში, ყვავილების ქუჩაზე, ალექო ცქიტიშვილი შემწეული შეცდომების გასწორება, თამთა მელაშვილი სხვა ფერი, გურამ ნავროზაშვილი უნივერსალური საღვინ-სადრესელა, ჯაბა ხარქუა ზაზუნას თვითმკვლელობა, ტატო გოგოლაძე ჩარლი, მარიანა ნანობაშვილი ჩემი მომავალი მკვლელი, გურამ მეგრელიშვილი ავაზაკები, დათო გაბუნია ბეჩა-ვი, მიშა ბახსოლიანი სიზმრების კვირეული, დათა ფირცხალავა კროსვორდი და კოკა არჩვაძე თავგასების საიდუმლო ამბავი.

წინააღმდეგობა და აბსურდი ვენეციაში

პირველი გვერდიდან

ეს უკანასკნელი ცნება აქ ყველაფერთან დაკავშირებითაა საინტერესო - პავლიონში შემოსვლისთანავე რაოდენობა, დანერგილი სტატიების და მათში მოხსენიების რაოდენობა, ქალაქში სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში განთავსებული რეკლამების რაოდენობა და ა.შ.

თანამედროვე კულტურა უპირველესად PR-ის კულტურაა. საქართველოში ეს სისტემა პრაქტიკაში "ჭურბლისებრ" გადარეკვა-დაძახებაში ვლინდება, მაგრამ PR მოიცავს ორგანიზების ნაწილსა და პროექტისა თუ იდეის შეფუთვის კულტურას. ამ კულტურის შემოქმედებითობა პროექტის არსზე დამოკიდებულია და როცა საქმე თავად სახელოვნებო მოვლენას შეეხება და განსაკუთრებით - სახვით სფეროს, ანუ ვიზუალურ ესთეტიკას, მაშინ პროექტის შეფუთვა და წარდგინება უკვე თავად ხდება ხელოვნება. ამ საქმეს ყველაზე პრაგმატულად მოაზროვნე და ყველაზე ენერგიულ ადამიანებს ანდობენ. ეს არის საქმე, რომელშიც უკლებლივ ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგალითად: რა შეიძლება გამოიყენოს ქვეყანამ ფესტივალზე პოპულარობისთვის, რის გამო უნდა შემოვიდნენ ამ ქვეყნის პავლიონში, როგორ უნდა შეირჩეს პროექტი ისე, რომ ქვეყნის მთავარი სახელოვნებო ამბიცია, უპირატესობა, თუნდაც უბრალოდ ქვეყნის პრობლემა (მთ უფრო, თუ პრობლემა საერთაშორისო საზოგადოების განხილვის თემა) ყველაზე ზუსტად აქცენტებით და ორიგინალური მხატვრული ფორმით წარმოიწოდოს... ვერ ვიტყვი რომ ყველა ქვეყნის პროექტი ამ მიზნებს წარმატებით აღწევს.

დიდი ქვეყნები ვენეციაში საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ბეჭდულობით და ავტორიტეტით მიიწვევენ წინ. ამ თვალსაზრისით განვითარებად ქვეყნებს, ანუ ე.წ მესამე მსოფლიოს ქვეყნებს, ბევრად რთულად აქვთ საქმე. თუმცა, როგორც წესი, მსოფლიო არტერიკაცია სწორედ ამ "განაპირა" ქვეყნების ხელოვნებაში ხედავს კომერციას, PR ტექნოლოგიებსა და კულტურულ სწობიზმს გადაყოლილი დასავლური კულტურის საზრდოსა და ხსნას.

ვენეციური ბინალეს მენეჯმენტის საკითხი ტყუილად არ წამოიჭრია. ვენეციის ბინალეს, ისე როგორ სხვა ამ ტიპის დიდი საერთაშორისო ფესტივალი, ორგანიზება-შეფუთვის, მენეჯმენტის შეჯიბრშიცაა და თუ თავად ჯარდინიზე არ აქვს ქვეყანას აშენებული საკუთარი პავილონი (ეს კი საუკუნის წინ თუ მოხდებოდა, როცა ჯარდინიში არტის ქალაქი შენდებოდა), მაშინ საქმე ადამიანთა ისეთ ჯგუფს უნდა ანდო, რომელიც გამოცდილი ორგანიზატორებისგან შედგება. ამას გარდა, მენეჯმენტის ელემენტარული პრინციპების თანახმად, წინასწარ უნდა იყოს განვირეოთ არა უბრალოდ პროექტის ბიუჯეტი, არამედ პროექტის PR გეგმა და ორგანიზების პროცესში განსახორციელებელი ყოველი სვლა, რომელიც შემოქმედებითი ნაწილის საუკეთესოდ წარმოსაჩვენებელი დამთავალიერებელი ყურადღებას გამოიწვევს, კრიტიკოსებს კი წინასწარ დანერგილი და გავრცელებული რევიუებით დაამახსოვრებს თავს.

სულ სხვა საკითხია შემოქმედებითი მხარე. ვენეციის ბინალეს იმდენი უნახავს და ისეთი მასშტაბური "გადარეკვა" უწარმოებია, საქმე იოლად არ არის. აქაც პრინციპულად განსხვავებული მიდგომები მუშაობს. დიდი ევროპული ქვეყნები პერიოდულად თავს ნებას აძლევენ, მათი საუკეთესო მხატვრის პერსონალის პროექტი (და არა გამოფენა) წარმოადგინონ. ერთი მხატვარი აყალიბებს



ტაივანის პროექტი - ფოტოსერია.

იდეას, პრობლემას, ანდა მხოლოდ ესთეტიკას, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია. როგორც წესი, ცდილობენ პავლიონი მდიდარი გახადონ განსხვავებული მედიებისა და განსხვავებული მსოფლმხედვის ხელოვნების დაკავშირებით. ეს დამაკავშირებელი ხაზი კი პროექტის კურატორმა უნდა გაავლოს და გაამძაფროს.

ცხადია ყველაფერის ნახვა შეუძლებელია და უკვე სულ ცოტათი გამოცდილი მკურნებელიც კი შეცდება, თუ იფიქრებს, რომ ყველაფერი ნახა, ყოველ შემთხვევაში - ის მაინც, რაც ბინალეთა ცენტრალურ ადგილებში არის კონცენტრირებული. საბოლოო ჯამში ნახვით არა იმას, რაც დავგვამ, არამედ იმ ქვეყნის პავილიონს, რომელმა ქვეყანამაც ინფორმაციით შეგანუხა და ორიგინალობით ჩაგითრია - აქსესუარები, ნიშნები, ქალაქში გავრცელებული ბუკლეტები, სტატიები, გავრცელებული ფლერები სადგურთან, გაჩერებებზე, ეს ყველაფერი იმდენად ძვირი არ ღირს, რამდენადაც მონდომების, მოფიქრების და მუყაითი შრომის საკითხია. სულ დამავინყდა, წითელი მრგვალი ბაერები და მათი ისრები, ისრები, ისრები - ასე მიადგენილ მაროკოს, მონაკოს, ტაივანს, ჩილეს, ჰონგ კონგს. . .

საუბარს მაინც ტაივანი და ვინც. მან 2007 წლის ბინალედან შეინარჩუნა ადგილიც და შესაძლოა პუბლიკაც... სან მარკოს მოედანსა და დოჟების სასახლეს დავერდებით თუ არა, იქვე, გაგრძელებაზე, სასახლეში ტაილანდური პროექტი გვეგება. სამი მხატვრის ნამუშევრის სამი ოთახი უჭირავს. აქვე უნდა ითქვას, რომ ტაივანური პროექტი საორგანიზაციო მოწესრიგებულიობისა და მთავარი დევიზის ადეკვატურობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე კარგი შემთხვევაა. მათ დანიელ ბორნაუმის სლოგანი - "სამყაროთა შექმნა" - სხვადასხვაგვარად გაიზრეს. ერთ-ერთი ავტორი დამთავალიერებულს ახალი ტიპის არქიტექტურული განაშენიანების იდეას სთავაზობს და ფოტორეპორტაჟით გვიჩვენებს, რომ მანხასთან ახლოს ამგვარი დასახლების დაარსება უკვე დაწყებული აქვს. ავტორმა თავად ამიხსნა, რამდენად სასარგებლო და ნაკლებხარჯიანია თვისა და ხისგან დამზადებული ახალი ტიპის საცხოვრებლები. მისი ნამუშევარი, ხალისიანი ფოტოების მიუხედავად, მეტისმედად მშრალი და თეორიული გახლდათ და, შესაბამისად, ტაივანიც დარჩებოდა უინტერესო, რომ არა ის ორი ოთახი, რომელიც ამ პირველის ნარატიულო-

ბას აბალანსებდა. ტაილანდური ფოტოგამოფენა ერთი რიგითი მოქალაქის ცხოვრებას ასახავდა. დაბადება, დაქორწინება, სამსახური, მერე სულ მოწყენილობა და ძილი. ამ გამოფენაში ალბათ იყო გარკვეული იუმორი, მაგრამ დიდი ზომის საკმაოდ მხატვრული ფოტოები ცინიზმს აშკარად გაუბრუნა და ჩვენში მხოლოდ კეთილ ღიმილს ინვედა. და ბოლოს, მესამე - ის არც ღიმილს გვგრის და არც იუმორისტულია. ვიდეონტერვიუ ტაივანელ ქალებთან ავტორმა ციხის მისაღებად ჩაწერა. ეს ქალები პატიმრები არ არიან - პირდაპირი გაგებით, მაგრამ ისინი მსოფლიო საზოგადოების კლასებად დაყოფისა და მათთვის შეზღუდული უფლებების პატიმრები არიან. სტუდენტები, დიასახლისი, მეცნიერი და ა.შ. - მათ ერთი რამ აერთიანებთ, წავიდნენ საზღვრებს გარეთ სხვადასხვა ოცნებების ხორცმესასხმელად. წავიდნენ აშშ-ში, მაგრამ იქ არაფერ უშვებთ. მათ გარშემო ფარდები ძალიან მძიმეა და ეს სიმძიმე აიძულებს იყვნენ და არსებობდნენ მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის. ვიდეო საინტერესოა არა მხოლოდ შინაარსობრივი თვალსაზრისით, არამედ ვიზუალური ხერხებითაც. ჩიხის მისაღებად სპეციფიკურად გრაფიკული კონსტრუქციია, უფრო უფრო, ვიდრე თეთრი და ამ უფერულობაში სხვა ყველაფერი შავია და ძალიან მკაცრი. რესპოდენტებიც უფრონი არიან, ყველა ერთნაირი გარკვეული პერიოდი იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი პაემანის ფანჯრებთან დგანან და საკუთარ ისტორიებს სხვა ადამიანებს უყვებიან, მაგრამ წინამდებარე მათ სარკეების წინ ხედავ, მსმენელის გარეშე.

აქვე უნდა გამოვყო ჩილე, რომელმაც საკუთარი პავილიონი, არსნალეს ცენტრში (ამ პავილიონში სხვადასხვა საათებში რამდენიმე ლათინოამერიკული ქვეყნის პროექტია წარმოდგენილი), ერთი თითქოს გაუგებარი, სადა და მოკრძალებული, მაგრამ ერთდროულად ძალიან ფერადოვანი, ლამაზი და კონცეპტუალური ნამუშევარი აჩვენა საზოგადოებას. მნიშვნელოვანი ისაა, რომ მისი ვიზუალური მხარე იოლად დაამახსოვრდება მნახველს. ივან ნავარომ სრულიად ჩაბნელებულ უზარმაზარ სივრცეში კედლის მთელ სიგრძეზე ფერადი ნიონებით განათებული ვითვალთვა კარი დადგა, ცენტრში - უთვალსივრდე ურიკით, კუთხეში - ეკრანი, რომელიც გვიჩვენებს ვიდეოს, თუ როგორ დადიოდა დიდ ქალაქებში ამ ურიკით. დადიოდა, დადიო-

და, დადიოდა, უმისამართოდ. ამ ყველაფერს ერთად "წინააღმდეგობა" ერქვა. წინამდებარეში აქაც იყო გარკვეული აბსურდი. კარები რეალურად არც არსებობდა, მხატვარმა სიბნელეში ფერადი ნიონებითა და სარკეებით ილუზია შექმნა, რომ გახვიდოდი და გაივლიდი ფერადოვან გზას. თანაც შეგეძლო აგერჩია სად, რომელ ფერში შესულიყავი. აბსურდული გახლდათ მხატვრის ურიკით მოგზაურობა ქალაქშიც. წინააღმდეგობის დაძლევა ადამიანს იმის ილუზიას უქმნის, რომ საზღვარი გადალახა და ახალი კარი გააღო. ამასთან, არასდროს იცი ამ კარს მიღმა ახალი სივრცეა თუ, უბრალოდ, მორიგი კედელი.

მაროკო არ აპყვავს ტენდენციას, რომლის თანახმადაც ბინალეს მონაწილე ქვეყნების 80 პროცენტი ვიდეოებს გვთავაზობს და მოკრძალებით აჩვენა ის, რაც ყველაზე მეტად ეამყვება და საკუთარი ინიციტივით ბეჭდობს ტენდენციას - მაროკო აქ ფერწერას და მწერლობას პარალელურად წარმოადგენს. 50 წლის ავტორი მაი ბინეზინა ვენეციაში უკვე მეორედ გამოფინეს. მასთან ერთად წარმოდგენილია სხვა, შედარებით ახალგაზრდა მაროკოელი მხატვარიც. თუმცა ინტერესს მაინც "ვეტერანი" არტისტი იწვევს. იქვეა გამოტანილი მისი ნიგნები, რომლებიც წელს იტალიურ ენაზე სპეციალურად ათარგმნინეს და გამოსცეს. მაროკომ განსაკუთრებული ყურადღება სტუმრების მიღების ნესებზე გაამახვილა. შეხვალთ თუ არ იქ, თქვენ შეგხვდებთ გოგონა, რომელიც თქვენთვის მისაღებ ენაზე დანერგილ პრესრელიზს მოგცემთ და ამავ ენაზე მოგიყვებათ მაროკოსა და მის კულტურაზე. მოკლედ, ავისხნით ყველაფერს და მხატვარსაც გააცნობთ. თანაც ეს ყველაფერი უზარმაზარ და ულამაზეს შენობაში ხდება, პირდაპირ სანაპირო ზოლში, ვაპორტოების გაჩერებასთან, სანამ არსენალს მივადგებით. ასე რომ, გინდა თუ არ გინდა, მაროკო ვენეციაში შენი მეგობარი ხდება. მაი ბინეზინი უსათაურო ტილოებს წარმოადგენს. თუმცა, თვალსაჩინოა მისი ინტერესი ტექნიკასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების განხორციელებისადმი და ნახატისთვის სივრცული ობიექტის ფორმის მინიჭებისადმი. რატომ? იმიტომ, რომ მას ქანდაკება იზიდავს, რასაც იქვე გამოფენილი მისი მცირე პლასტილის ნიმუშებით გვისაბუთებს. მაროკოელი მხატვარი მთავარსა თუ წვრილმანს საკუთარ სამყაროში ადამიანს უკავშირებს. აქ დომინანტურია ადამიანის

ფიგურის ტრანსფორმაციები, გარეშის თეორია, იქნებ გასამებისაც... მოკლედ, ადამიანის რაობისა და "მე"-ს ძიება ფერით სიბრტყეზე

ვენეციის ბინალემ წელს ერთი რეალობა დაგვანახა - ყველაზე წარმატებულია ის პროექტები, სადაც მხატვრობა ფოტოთი ან ობიექტით არის ნაჩვენები. ალბათ გარჩედა შეკითხვა - რატომ? ვიდეოარტი ხომ პოპულარულია და თანამედროვე ვიზუალურ ტენდენციებშიც ნამყვანია? პირველ რიგში იმიტომ, რომ ბინალეებზე დამთავალიერებელი მხატვრობისა და ესთეტიზმის დეფიციტს განიცდის; მეორე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - არავინ შედის პავილიონებში 1 საათით და სხვათაშორის, არც 20 წუთით იქ ან ცნობილი მხატვრის სახანავად შედიან, ანდა უცნობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად და შთაბეჭდილების შესაქმნელად. ვიდეო, როგორი ორიგინალურიც არ უნდა იყოს ის, სტუმარს დასაწყისიდან ბოლომდე ვერ ინარჩუნებს. არსებობს მესამეც, ვიდეოარტის ბუმის ხანაში იმდენი ვიდეონამუშევარია, რომ ადამიანი დადის და განსხვავებულს ელის.

უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ ახლა მივხვდი ბოლომდე, თუ რატომ იყო ორი წლის წინანდელი ქართული პროექტი წარმატებული, რატომ გვყავდა მაშინ ბევრი თავყვანისმცემელი თუნდაც მხოლოდ თერ ჭკადუსა უზარმაზარ ტილოებზე გამოსახული ფერწერული მისტიკა, შესაძლოა ბევრისთვის მიუღებელი, ის მუხტი გახლდათ, რომლის სერიოზული ნაკლებობაა 2009 წლის ვენეციის ბინალეს ქვეყნების პავილიონებში. აღსანიშნავია, რომ მაშინ საქართველო კიდევ ორი სხვა მიმართულებაც წარმოადგინა - მოძრავი ობიექტები, თამარ კვიციანი თოჯინების სახით და სოფიო ტაბატაძის კონცეპტუალური პროექტი, ობიექტები საზოგადოებისა და უბრალოდ სივრცის განვითარების პარალელზე. რაც შეეხება 2009 წლის ქართულ პროექტს, მის შესახებ შემდეგ სტატიაში ვრცლად ვიამბობთ.

თუმცა დასასრულს შემდეგი სტატიისთვის საფუძველს მოვიზიარებ: ის, რომ 2009 წელს საქართველო ვენეციის ბინალეზე წარდგას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დიდი დამსახურებაა. 2007 წლისგან განსხვავებით, ქართველების მონაწილეობას ვენეციაში არ ჰყავს სერიოზული ბიზნესპარტნიორი, მაგრამ ეს არ გამოხდარა მიზეზი იმისა, რომ მსოფლიოს კულტურულ არენაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი დაგვეკარგა. ამას გარდა, ის ფაქტი, რომ რუსეთთან ნაომარი ქვეყანა დღეს კვლავ აცხადებს პრეტენზიას იყოს იქ, სადაც მსოფლიო კულტურა არა თუ პრეტენტიციას ახდენს, არამედ ყალიბდება (ამითაც განსხვავდება არტის ბინალეს კონფესტივალისგან), პრინციპულად მნიშვნელოვანია. ცხადია, ამგვარი სერიოზული აქტივობები საქართველოში კულტურის პოლიტიკა წამდვილად არ არის, ან ნაკლებად თანამიმდევრულია, მაგრამ საერთაშორისო პროექტებში ამ ტიპის მონაწილეობა ქმნის იმ სტრატეგიულ საყრდენებს, რომელზეც შეიძლება ხიდეები აშენდეს. საქართველოს კულტურის სამინისტრო ამ წელსაც გახდა დონორი იმისა, რომ ქართველი მხატვრები ვენეციაში ენახათ. სამინისტრო გახდა დონორი, მაგრამ ის არ არის ავტორი. მინისტრი ნიკოლოზ რურუა ქართული პროექტის ინაუგურაციავა ისეთივე დამთავალიერებული იყო, როგორც სხვა. რაც შეეხება პროექტის ავტორობას და მის რაობას, ეს სულ სხვა თემაა.

სპორტი

კუპერი თავისუფალ ვარდნას ვერ აჩერებს

ალბანეთისკენ მოლდოური ალიყური

მიხაილ აბიჯილი

უკვე რამდენი წელია, ეს "გამოცხადებული სირცხვილის ქრონიკა" გრძელდება და ბოლოც არა და არ უჩანს. თაობები იცვლებიან, საქართველოს ეროვნული ნაკრები კი, რომელსაც არც არასდროს ჰქონია ღირსების, გნებავთ, სირცხვილის გრძობა, უფსკრულში დაშვებას განაგრძობს. თან ამ უფსკრულსაც რომ ძირი არ უჩანს? თორემ, ბოლოს და ბოლოს, მივალწვედით ფსკერს და, ნებისთი თუ უნებლიეთ, უფრო დაბლა ჩასავარდნი რომ აღარ იქნებოდა, თუ ამოსვლას ვერ დავიწყებდით, ერთ დონეს მაინც ხომ შევინარჩუნებდით? ხანდახან ასე მგონია, რომ ის მესხები, მეტრეველები, განცვიფრებული ბრაზილიელები, კარაველას თასები, დიუსელდორფები, ბეჭებზე დაცემული ლიგერპულები, ინტერები, ვესტ ჰემები და ფეინოროდები, თასების თასები და რომელი ერთი გავისხენო, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. რეალობა კი ისაა, რომელიც დღეს გვაქვს: ეროვნული ნაკრები, რომელიც ნებისმიერ შესარჩევ ტურნირში ბოლო პოზიციებს ტკეპნის, საკლუბო ფეხბურთი, რომელიც ზაფხულში პირველი საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვასაც კი იშვიათად ახერხებს და უკვე ისეთი ქვეყნების გუნდებს ეჩაგვრინება, როგორებიცაა ლუქსემბურგი, ლიხტენშტაინი, ალბანეთი, ყაზახეთი და მსგავსი "გრანდები".

ისიც ნათელი ხდება, რომ ექტორ რაულ კუპერიც, მოთმინებასთან და ხალისთან ერთად, თანდათან კარგავს პროფესიულ ჩვევებს და იმ უხერხემლო მასიდან, რასაც ქართული საფეხბურთო მეურნეობა ჰქვია, ბრძოლისუნარიანი ნაკრების შექმნისთვის ამაოდ დამაშვრალი საკუთარ სამწვრთნელო ავტორიტეტს ეპიტაფიას უწერს. კუპერის რენომეზე გული ძალიან მწყდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტად - იმ მილიონებზე, რომელიც ჯერ ტომპილიერის ჩამოყვანაზე გადაიყარა და შემდეგ - ამ არგენტინელი სპეციალისტის მოწვევაში პოსტზე, რომელიც ჩვენში უკვე "სამწვრთნელო სასაფლაოდ" მოიხსენიება. მეორე მხრივ, გვყავს ეროვნული ნაკრები, რომელსაც ჩვენი ანმყოთი ვიმსახურებთ და აბსოლუტურად შეესაბამება ქვეყანაში დღეს არსებულ რეალობას.

მახსენდება 1996 წლის შემოდგომა, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩვენი ნაკრები ქვას ქვაზე არ ტოვებდა ისეთი გუნდებიდან, როგორც, ვთქვათ, უელსი ან ბულგარეთია, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო გადადგა



ხიზანიშვილის გოლმა საქართველოს ნაკრებს ვერ უშველა

პოსტიდან, რომ ინგლისის და იტალიის ნაკრებ გუნდებს ვერ მოუგო. დიახ, ასეთი არცთუ უსაფუძვლო ამბიცია გვექონდა ამ ათი-თორმეტი წლის წინ. დღეს კი ფიფას სანაკრებო რეიტინგის მეორე ასეულში მყარად მოვიკიდეთ ფეხი და ამბიციებიც ამ პოზიციას უნდა მივუსადაგოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კუპერის ხელმძღვანელობით ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ ათ მატჩში მხოლოდ ერთხელ, ისიც ამხანაგური შეხვედრა მოვიგეთ და საკვალიფიკაციო ტურნირში 3 ქულით ბოლო ადგილს ვტკეპნით.

თუ სტატუს კვოდ სწორედ მეორე ასეულში ჩვენს ყოფნას მივიღებთ და ამ პოზიციიდან შევხედავთ ვითარებას, მოლდოვასთან მარცხს არც ისე მტკივნეულად აღვიქვამთ და მცირე ანალიზის გაკეთებაც იქნება შესაძლებელი. პრინციპში, საგანგაშო თითქოს არაფერი მომხდარა: ამხანაგური თამაშის მთავარი დანიშნულება ხომ ახალი ფეხბურთელების საქმეში ნახვა, სხვადასხვა ტაქტიკური სქემის გამოცდა, კომბინაციების დახვეწა და მსგავსი შიდა გუნდური სამზარეულოს მოწესრიგებაა. ამ თვალსაზრისით კუპერმა მოლდოვასთან მატჩში დიდი სამუშაო გასწია. საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა სამ ფეხბურთელს - ფოფხაძეს, სეთურიძეს და დვალაშვილს. ვინ გაამართლა ეს ნდობა და ვინ ვერა, მწვრთნელის გადასაწყვეტია. დარწმუნებული ვარ, დებიუტის გარდა, რამდენიმე ფეხბურთელის გედის სიმღერა ანუ ბოლო სანაკრებო თამაშის ვიხილეთ. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის საქმისადმი დამოკიდებულებას კუპერი ისე ალუმფო-

თებია, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ამ ფეხბურთელების მიმართ სერიოზული სანქციების გატარებაზეც ისაუბრა.

"პირველ ტაიმში საშინლად ვითამაშეთ. ნამდვილად არ ველოდი, თუ რამდენიმე ჩემი ფეხბურთელი ასე უემოციოდ, უჯიგროდ, ენთუზიაზმის გარეშე გამოვიდოდა მოედანზე და ვერ გააცნობიერებდა, თუ რას ნიშნავს ეროვნული ნაკრების სახელით თამაში. ამის გამო ძალზე გაღიზიანებული ვარ. ზოგიერთი ფეხბურთელი არ იმსახურებს ნაკრებში თამაშს და ამას აუცილებლად გამოვასწორებ. ცვლილებებს უკვე ალბანეთთან მატჩზეც დანიშნავთ, თუმცა, იმის გამო, რომ ალბანელებს ოთხ დღეში ვეთამაშებით და ახალი ფეხბურთელების გამოძახების დრო არ მაქვს, ტირანაში უკვე გამოძახებულებს ნაივყვან. რეალურ ცვლილებებს აგვისტოში ნახავთ", - განაცხადა კუპერმა, რომელმაც გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში "ნითელი აუნთო". ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელმა, რომლის კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება, თავად აღიარა: სასულე ქვიშა პოლიტიკაში გარკვეული შეცდომები დაუშვა. იმედია, ახლო მომავალში ის ამ შეცდომებს, თუნდაც საკუთარი პრინციპული პოზიციების გადახედვის ხარჯზე, აუცილებლად გამოასწორებს. მალხაზ ასათიანთან დაკავშირებით კუპერი აბსოლუტურად მართალია: ამ ფეხბურთელმა ნაკრების მიმართ არასწორი პოზიცია დაიკავა. ის, რომ კუპერი არ უხმობდა, პირველ რიგში, სწორედ ასათიანის ბრალი იყო. თუმცა, მეორე მხრივ, დღეს საქართველოში

კვალიფიციური ფეხბურთელების უმწვავესი დეფიციტის პირობებში, ვფიქრობ, არ გვაქვს იმ ფუფუნების საშუალება, რომ ასათიანის დონის ფეხბურთელის ნაკრებში თამაშზე საბოლოოდ ვთქვათ უარი. ასეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ნაკრებისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, უნდა დაუბრუნდნენ ეროვნულ გუნდს.

მოლდოვასთან მატჩში იყო ეპიზოდები, როცა საქართველოს ნაკრები ტაქტიკურად გამართულ, სწრაფ, კომბინაციურ, ერთი შეხებით ფეხბურთის თამაშობდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ, მონდომების შემთხვევაში, თუნდაც ეპიზოდურად, შეგვიძლია თანამედროვე ფეხბურთის ფეხი ავუნყოთ. რამდენია ამ პოზიციებში უსაფუძვლო ოპტიმიზმი და რამდენი - რეალობა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. სამ დღეში კუპერს და მის გუნდს სერიოზული გამოცდა ელით. ალბანეთი, როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე ჩვენთვის ხელნამოსაკრავი არც არასდროს ყოფილა. მით უმეტეს, მატჩებში, როცა სტუმრის სტატუსით ვმონანილეობთ. ამ სტატისტიკას ხვალინდელ ნომერში წარმოვიდგინოთ, ამჯერად კი მხოლოდ ერთ ფაქტს შეგახსენებთ. გასული უქმეები ალბანელთათვისაც მარცხიანად დასრულდა. საქართველოს ნაკრებისა არ იყოს, "არნივებიც" საშინაო არენაზე დამარცხდნენ. ოღონდ, თუ ჩვენ უსახელო მოლდოვასთან შევრცხვით, ალბანეთი პორტუგალიასთან დამამათა და, თანაბარ და ლირსეულ დაპირისპირებაში. დამადასტურებელ ფაქტად იმის თქმაც კმარა, რომ გამარჯვების გოლი პორტუგალიამ სულ ბოლო, 90-ე წუთზე გაიტანა.

ნადალი უიმბლდონზე ვერ ითამაშებს

მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგის ლიდერი რაფაელ ნადალი საფრანგეთის ლია პირველობაზე განცდილი მარცხის შემდეგ შესაძლოა უიმბლდონის მიღმაც აღმოჩნდეს. ამის შესახებ ესპანურ მედიას რაფას ბიძამ და მწვრთნელმა ტონი ნადალმა განუცხადა.

მისი თქმით, მის ძმისშვილს მარჯვენა მუხლი აწუხებს.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა რაფამ უიმბლდონზე გამოსვლა შეძლოს. საბოლოო პასუხი ტესტების შემდეგ გვეცოდინება, - თქვა ტონი ნადალმა.

ორი ჰოლანდიელი ერთ ფრანგში

ფლორენტინო პერესმა კარგა ხნის წინ განაცხადა, რომ რეალის პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნისთანავე გუნდს ჰოლანდიური კოლონიისგან გაათავისუფლებს. პერესმა მოქმედება უკვე დაიწყო. თუ ევროპულ მედიას დაუჯერებთ, რეალი მზადაა არიენ რობენი და უესლი სნიედერი ფრანგ კრიბერიში გაცვალოს.

ამ გაცვლის ინიციატივა მოდის მიუნხენის ბაიერნიდან, რომლის მთავარი მწვრთნელი ჰოლანდიელი ლუი ვან გაალია. თუმცა რეკორდმაისტერის გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი აცხადებს, რომ კლუბი რიბერის გაშვებას არ აპირებს:

ჩვენ მისი გაყიდვა არ გვინდა და ამ საკითხზე მოლაპარაკების გამართვასაც არ ვაპირებთ.

ჰაინკესმა ლაზარის ადგილი დაიკავა

რამდენიმე დღის წინ ლევერკუზენის ბაიერი დატოვა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბრუნო ლაზარმა. მისი ადგილი დიდხანს არ დარჩენილა თავისუფალი. ასპირინელთა მესვეურებმა კლუბი ჩააბარეს გამოცდილ გერმანულ მწვრთნელს იუჰ ჰაინკესს, რომელიც გასული სეზონის ბოლოს მიუნხენის ბაიერნის დროებით მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

ბაიერნთან ხანმოკლე თანამშრომლობისას შევამჩნიე, რომ ეს საქმე ჯერ კიდევ აღმანთებს, - თქვა ჰაინკესმა, - ლევერკუზენის სერიოზული ხალხი მართავს და მათი წინადადება სიამოვნებით მივიღე. გუნდის მოთამაშეთა უმრავლესობას კარგად ვიცნობ და ჩემთვის უდიდესი სტიმული იქნება, ამ ახალგაზრდა, ნიჭიერ გუნდს საერთაშორისო სარბიელზე დაბრუნებაში დავეხმარო, - განაცხადა ჰაინკესმა.

"ვერდერი" პანტელიჩის გადაბირებას ცდილობს

ბრემენის ვერდერის მესვეურებს ბერლინის ჰერტადან სერბი თავდამსხმელის მარკო პანტელიჩის გადაბირება სურთ. პანტელიჩს დედაქალაქურ კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოწურა და თავისუფალი აგენტი გახდა. ფეხბურთელს ჰერტასთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მუსიკოსები კი 30 წლის მეგობარს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობენ.

შკერტლი "ლივერპულში" კმაყოფილია

სლოვაკი მცველი მარტინ შკერტლი, რომელიც გასული სეზონის დასაწყისში ლივერპულში გადავიდა, აცხადებს, რომ პირადად მისთვის სეზონმა წარმატებით ჩაიარა.

გასული სეზონით სიამოვნება მივიღე. ჩემთვის ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუმცა, რა თქმა უნდა, მუხლის ტრავმის მიღება და სამი თვის გაცდენა არასასიამოვნო იყო. საბოლოოდ გასულ სეზონს ჩემთვის მაინც წარმატებულად ჩავთვლიდი. მოუთმენლად ველი არდადეგებს, რადგან 11 თვე გადამძული ასპარეზობა ჩემთვის ძალიან დამღლელი აღმოჩნდა. სლოვაკეთის ნაკრებთან ერთად კიდევ ერთი მატჩი დამარჩა ჩასატარებელი, შემდეგ კი დასვენებაზე ვიფიქრებ, - აღნიშნა შკერტლმა.

ჰუტს "გლადბახში" ინვეწენ

მიონენგლადბახის ბორუსიას მიდლსბრო-დან მცველ რობერტ ჰუტის გადაყვანა სურს.

24 წლის მცველს კონტრაქტი აკავშირებს მიდლსბროსთან და მისი შეძენა გლადბახს 4 მილიონი ევრო დაუჯდება.

ამ კლუბის გარდა, გერმანიის ნაკრების მცველით ჰანოვერი და გელზენკირხენის შალკეც არიან დაინტერესებული. შალკეს მწვრთნელს ფელიქს მაგათს მისი გადაბირება უნდოდა ჯერ კიდევ მარშან, როცა ვოლფსბურგის სათავეში იდგა.

სამშობლოში დაბრუნების წინააღმდეგი არც თავად ჰუტია.

ბუნდესლიგაში სიამოვნებით ვითამაშებდი, - ამბობს ის.

"რომას" ნახევარმცველი ხელფასის გაზრდას ითხოვს

რომას ნახევარმცველ მატეო ბრიგის აგენტის თქმით, თუ კლუბის მესვეურები მის კლიენტს ხელფასს არ გაუზრდიან, ის გუნდს დატოვებს.

რომასგან" იმ დაპირების შესრულებას ველოდებით, რომელიც სეზონის დასაწყისში კლუბმა ბრიგის მისცა. გასულ სეზონში მატეო საუკეთესო იყო და ამისთვის ის უნდა დაჯილდოვდეს. ბრიგის უფრო ნაკლები ხელფასი აქვს, ვიდრე ბევრ სხვას, თუმცა ის რეგულარულად თამაშობს და გუნდისთვის დიდი სარგებლობა მოქვს. იმედი მაქვს, მატეოს კონტრაქტში ფეხბურთელის რეალური საბაზრო ფასი აისახება, რაც გასულ სეზონში გაორმაგდა, - დასძინს ფეხბურთელის აგენტი.

გასული სეზონი ბრიგმა მაღალ დონეზე ჩაატარა. ის რომას ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. ამ ფეხბურთელის გადაბირება რამდენიმე იტალიურ კლუბს სურს.

"მილანმა" ფაბრეგასს დაადგა თვალი

იტალიური მილანი მომავალი სეზონისთვის ნახევარდაცვის გაძლიერებას აპირებს. გუნდი იმ ვაკუუმის შევსებას ცდილობს, რომელიც კაკას წასვლის შემდეგ გაჩნდება. როსონერიმ თვალი დაადგა არსენალის ნახევარმცველს სესკ ფაბრეგასს და მასში 40 მილიონ ევროსაც არ დაიშურებს.

ფაბრეგასით დაინტერესებას უკვე დიდი ხანია არ მალავს მადრიდის რეალი, თუმცა სამეფო კლუბმა ჯერაც ვერ მოახერხა ამ ტრანსფერის განხორციელება.

ყირარი "მონპელიეს" მწვრთნელად დანიშნა

ფრანგული კლუბის მონპელიეს ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარ მწვრთნელად რენე ყირარი დანიშნა.

სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ყირარი საფრანგეთის ჰოს, ნიმისა და სტრასბურგის თავკაცი იყო. 1998 წლიდან კი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობდა.

ბერგი "ალკმარში" გადადის

ჰოლანდიის ჩემპიონმა ალკმარმა ერედივიზიონში მოასპარეზე გრონინგენის ფორვარდთან მარკუს ბერგთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია.

ფეხბურთელთან მოლაპარაკების შემდეგ ალკმარელებს ისლა დარჩენიათ, რომ გრონინგენს მომავალი ტრანსფერის ფასზე შეუთანხმდნენ. მართალია, კლუბს საუკეთესო ბომბარდირის შენარჩუნება სურს, მაგრამ თავად ფორვარდი არ აპირებს იმ კონტრაქტის გაგრძელებას, რომელიც ორ წელიწადში ეწურება. გარდა ამისა, როგორც თავად ამბობს, მოხარული იქნება, თუ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

20 მილიონი ახალ ფეხბურთელებზე

ლივერპულის მთავარ მწვრთნელს რაფა ბენიტესს კლუბის მესვეურებთან კონფლიქტი აქვს იმის გამო, რომ ახალი ფეხბურთელების შესაძენად საჭირო თანხებს მწვრთნელს არ აძლევენ. როგორც ჩანს, ბენიტესს ამ სატრანსფერო პერიოდშიც გაუჭირდება სასურველი ფეხბურთელების შეძენა, რადგან მერსისაიდული კლუბის ამერიკელმა მფლობელებმა ტრანსფერებზე 20 მილიონ გირვანქა სტერილიზებ ცოტა მეტი გამოყვეს.

ამ თანხით კი შეუძლებელია იმ ფეხბურთელების ყიდვა, რომლებიც ბენიტესს სურს. ბოლოს და ბოლოს, ესპანელი სპეციალისტის მთავარი სამიზნეა ვალენსიელი დავიდ ვილია, რომელიც ორჯერ ძვირი ღირს, ვიდრე ბენიტესს ტრანსფერებისთვის მისცეს. ასე რომ, ალბათ ესპანელი მწვრთნელი რამდენიმე ფეხბურთელს გაუშვებს, რათა ტრანსფერებისთვის საჭირო თანხა შეაგროვოს.

ჩეჩენების თასის მარცხიანი დასაწყისი



კანადა-საქართველოს მატჩის ეპიზოდი

მეცამეტე ადგილიდან, სავარაუდოდ, მეთხუთმეტეზე დაქვეითდება.

რაც შეეხება ქალაქ კოლორადოს მახლობლად, დაბა გლენდენში გამართულ თამაშს, მას სამი ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. კანადელები თავიდანვე ფლობდნენ უპირატესობას და ეს უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. ტურნირის მასპინძელმა 42:10 დამარცხა საქართველოს ნაკრები. ჩვენგან ერთი ლელოთი დავით დაღუნაშვილმა გამოიჩინა თავი, მეკო კვი-

რიკაშვილმა კი გარდასახვა შეასრულა ზუსტად და ერთი ჯარიმაც გაიტანა.

მატჩის პირველ ნახევარში ჩვენი ბიჭები, ასე თუ ისე, უწევდნენ წინააღმდეგობას მეტოქეს. გუნდები ისე გავიდნენ შესვენებაზე, რომ კანადელები 19:10-ს იკებდნენ. მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა უპირობო იყო. ქართველებმა სცადეს თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ კანადელები დაცვაში კარგად ირჯებოდნენ და ჩვენს ბიჭებს თამაშის გადარჩენის შანსი

თითქმის არ ჰქონიათ.

ბორჯღალოსნებმა ჩეჩენი-ლის თასზე გამართული პირველი მატჩი ასეთი შემაჯავებელით ჩაატარეს:

პეტრიაშვილი, ნატრიაშვილი, ფლენტი, ლ. დათუნაშვილი, ურუშაძე, ლაბაძე, გუნდიაშვილი, ბახილია, როხვაძე, მაღალურაძე, მანანელი, გიგაური, კაჭარავა, თოდუა, კვირიკაშვილი.

სათადარიგოები

დ. დაღუნაშვილი, კაკოვინი, უჩავა, მასისურაძე, ელიზბარაშვილი, გუგავა, სოხაძე

კარტოზია-ბალავაძე რვენია

ბიზა ბარასაშვილი

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში ორი დღით საჭიდაო ხალჩიები ლეკენდარული ქართველი მოჭიდავეების, პირველი ქართველი მსოფლიო თუ ოლიმპიური ჩემპიონის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გივი კარტოზიასა და ასევე პირველი მსოფლიო ჩემპიონის თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ჭიდაობის პროფესორად წოდებული ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის სამსახიროდ დაიგო. წარმატება კი მასპინძლებს დაგვრჩა. ამასთან, ამ კარა უპირატესობით. ჯერ მარტო შეჯიბრების პირველ დღეს გათამაშებული რვა ოქროს მედლიდან შვიდი ქართველი ფალანგების საკუთრება აღმოჩნდა.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალთათვის გაცხადებით ასაკონად გამოიყურება (სათავეს იღებს 1962 წლიდან), ვიდრე ბერძენ-რომაელთა (სათავეს იღებს 1972 წლიდან) და ამასაც თავისი მიზეზი აქვს. სამოქალაქო ომის, ოთხმოცდაათიანი წლების ენერგოკრიზისისა და არასტაბილური ვითარების გარდა, რაც, თავის მხრივ, ითულებით პაუზებს იწვევდა, წინ სხვა დაბრკოლებებიც უძლოდა. ასე მაგალითად, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თბილისის ტურნირი, რომელიც სათავეს იღებს 1972 წლიდან, დაარსებულან ორ წელიწადში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) გააუქმა. უფრო სწორად, კალენდრიდან ამოიღო. გივი კარტოზიას სახე-

ლობის ტურნირის აღდგენას 23 წელიწადი დასჭირდა. გარკვეული მიზეზების გამო ორივე სახეობაში ხუთწლიანი პაუზები იყო 2000-2004 წლებშიც. ბოლო წლებში ხალვათობა იყო სხვა ქვეყნების ნაკრებთა სტუმრობის მხრიაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანად სახეცვლილი სურათი მივიღეთ წლევუს.

მასპინძელთა გარდა, გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირის პატივი დასდეს ფრანგებმა, ინდოელებმა, უკრაინელებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა.

შეჯიბრების პირველ დღეს ორივე სახეობაში ჩემპიონთა და პრიზორთა ვინაობა გაირკვა ოთხ - 55, 66, 84 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიაში. შედეგი ისაა, რომ რვა ოქროს მედლიდან შვიდი საქართველოში დარჩა, ერთი კი უკრაინელმა თავისუფალი სტილით მოჭიდავემ, ევროპის ჩემპიონმა ტარას დანკომ (84 კგ.) მოიპოვა.

ამ შეხვედრის გარდა, ტურნირის პირველ დღეს კიდევ სამი ქართულ-უცხოური ფინალი ჩატარდა და სამივე ქართველთა გამარჯვებით დაგვირგინდა.

შეჯიბრების მეორე დღეც ფაქტობრივად წინა დღის ტყუპისცალი აღმოჩნდა. სამ - 60, 74 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში და შესაბამისად ორ სახეობაში გამოვლენილ ჩემპიონ-პრიზორთა შორის კვლავაც მასპინძლები დომინირებენ. გათამაშებული ექვსი ოქროს მედლიდან ამდენივე ქართველებმა დაისაკუთრეს. ეგაა, აქედან ერთი ოქროს მედლი ისევ უკრაინელთა ყულაბაში ჩაჩხრიალდა. ჩვენ კი მხოლოდ იმით შეგვიძლია დავტკბეთ, რომ ის ერთადერთი დაკარგული ოქრო უკრაინის სახელით მოასპარეზე გია ჩიხლაძეს

(74 კგ.) დამსახურება.

დღე პირველი: ბერძნულ-რომაული 55 კგ.

1. გოდერძი დავითაძე (საქართველო)
2. ზურაბ კეკელიძე (საქართველო)
3. გიორგი გვენეტაძე (საქართველო)
3. ლაშა გოგიტაძე (საქართველო)

66 კგ.

1. მანუჩარ ცხადაია (საქართველო)
2. ვახრამ ხაჩატურიანი (სომხეთი)
3. ანტონ მამაგიშვილი (საქართველო)
3. ტარიელ ებრაელიძე (საქართველო)

84 კგ.

1. ბადრი ხასაია (საქართველო)
2. არტურ შანიანი (სომხეთი)
3. გიორგი ცირეკიძე (საქართველო)
3. დავით ქარჩავა (საქართველო)

120 კგ.

1. გურამ ფერსელიძე (საქართველო)
2. რევაზ ჭელიძე (საქართველო)
3. დიმიტრი ჯავახიშვილი (საქართველო)
3. რამინ შაქარაშვილი (საქართველო)

თავისუფალი 55 კგ.

1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო)
2. გეგამ ბაბახანიანი (სომხეთი)
3. მალხაზ მახაროზიძე (საქართველო)
3. გიორგი ედიშერაშვილი (საქართველო)

66 კგ.

1. შალვა მუზიაშვილი (საქართველო)
2. კობა კაკალოძე (საქართველო)
3. დიდი რეისი (საფრანგეთი)
3. ჯონი ჯინჭარაძე (საქართველო)

84 კგ.

1. ტარას დანკო (უკრაინა)
2. ნიკოლოზ გავნიძე (საქართველო)
3. ლაშა ქეთიშვილი (საქართველო)
3. თორნიკე სვანიძე (საქართველო)

120 კგ.

1. ლევან ბერიანიძე (საქართველო)

2. გიორგი ნიკურაძე (საქართველო)
3. ლაზარე მარსაგიშვილი (საქართველო)
3. კობა კერესელიძე (საქართველო)

დღე მეორე: ბერძნულ-რომაული 60 კგ.

1. რევაზ ლაშვი (საქართველო)
2. კარმან მამადოვი (საქართველო)
3. ზვიად ოქრაძე (საქართველო)
3. არმენ ანტონიანი (სომხეთი)

74 კგ.

1. გენადი გოგიშვილი (საქართველო)
2. ვარზან ბორანიანი (სომხეთი)
3. მუხრან მაჭულაძე (საქართველო)
3. მამუკა ხიმშიაშვილი (საქართველო)

96 კგ.

1. სოსო ჯაბიძე (საქართველო)
2. არმენ გეგამიანი (საქართველო)
3. ალექსანდრე ბურდილაძე (საქართველო)
3. გენადი ხელია (საქართველო)

თავისუფალი 60 კგ.

1. მალხაზ ზარქუა (საქართველო)
2. გიორგი ბალიაშვილი (საქართველო)
3. მალხაზ ქურდიანი (საქართველო)
3. არტურ ბალდასარიანი (სომხეთი)

74 კგ.

1. გია ჩიხლაძე (უკრაინა)
2. გოჩა ლომთათიძე (საქართველო)
3. გიორგი მარსაგიშვილი (საქართველო)
3. ლუკას ლამპისი (საფრანგეთი)

96 კგ.

1. დანი ქერაშვილი (საქართველო)
2. თორნიკე ხიდაშვილი (საქართველო)
3. ზაზა თურმანიძე (საქართველო)
3. რაკემ კუმარი (ინდოეთი)

ბრიტანელმა სტამბოლი მოაჯადოვა



ბრაუნ GP ბატონს თავს შემოეწვო

გიგა ბარასაშვილი

რაც არ უნდა მოხდეს, შეუძლებელია ვინმე ან რამე მას ან მათ წამოეწიოს, გაუსწროს. ბრაუნელთა მოწინავე ჯენსონ ბატონი დაუწყველი, მათივე ბრიტანული გუნდი კი მიუწვდომელია. სამეფო რბოლათა უქმეები თურქეთის დიდ პრიზსა და სტამბულის პარკს დაეთმო. ყურადღება და პატივი კი, ისე როგორც წინა რბოლებში, ერგო ჯენსონ ბატონს, რომლისთვისაც თურქეთის დიდ პრიზზე გამარჯვება

შვიდი რბოლიდან მეექვსე ალმოჩნდა.

თუ ადრეულ რბოლებში ბატონს ფეხდაფეხ მისდევდა მისივე თანაგუნდელი, ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, ამჯერად მისი ადგილი რედბულელებმა დაიკავეს. ასე რომ, დუბლი არ გამოუვიდა ბრიტანულ საჯინიბოს. მეორე ადგილი ავსტრალიელ მარკ უებერს, მესამე კი მის თანაგუნდელს, გერმანელ სებასტიან ფეტელს დარჩა.

ვისურვებდი, რომ კვარცხლბეკზე სრულად ვყოფილიყავით წარ-

მოდგენილი, - დანანებით ამბობს ბატონი, რომელსაც ტექნიკური პრობლემის გამო მხარი ვერ აუბა თანაგუნდელმა რუბენს ბარიკელომ (რბოლას 47-ე წრეზე გამოეთიშა), - მიუხედავად ამისა, ჩვენ წარმატებას მივალნიეთ. დღეს ყველას ვაჩვენეთ, თუ რა შეუძლიათ ამ მანქანებს. მართალია, პირველ მოსახვევში ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მეორე უპირატესობა ვიგდე ხელთ და საქმე ბოლომდე მივიყვანე. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მანქანისგან პრობლემა არ შემქმნია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მაგარი მანქანა გვყავს. წინ

სილვერსტონის (21 ივნისი, დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი) მშობლიური ტრასაა. შინაურ კედლებში ჩემპიონატის ლიდერის სტატუსით ასპა-

რეზობა უდიდესი გრძობაა. თუმცა, ისიც ვიცი, რომ მოდუნების უფლება არ გვაქვს. დანარჩენებზე წნეხი უნდა გავაგრძელოთ.

თურქეთის დიდი პრიზი. 58 წრა

ტრასის სიგრძე:	5,338 კმ.
რბოლის დისტანცია:	309,396 კმ.
1. ჯენსონ ბატონი (ბრაუნ GP)	1:26:24.848
2. მარკ უებერი (რედ ბული)	+6.7
3. სებასტიან ფეტელი (რედ ბული)	+7.4
4. იარნო ტრული (ტოიოტა)	+27.8
5. ნიკო როსბერგი (უილიამსი)	+31.5
6. ფელიპე მასა (ფერარი)	+39.9
7. რობერტ კუბიცა (BMW ზაუბერი)	+46.2
8. ტიმო გლოკი (ტოიოტა)	+46.9

მრბოლთა დავა:

1. ჯენსონ ბატონი (დიდი ბრიტანეთი)	61
2. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია)	35
3. სებასტიან ფეტელი (გერმანია)	29
4. მარკ უებერი (ავსტრალია)	27.5
5. იარნო ტრული (იტალია)	19.5
6. ტიმო გლოკი (გერმანია)	13
7. ნიკო როსბერგი (გერმანია)	11.5
8. ფელიპე მასა (ბრაზილია)	11
9. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი)	11
10. კიმი რაიკონენი (ფინეთი)	9
11. ლუის ჰამილტონი (დიდი ბრიტანეთი)	9
12. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია)	6
13. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი)	4
14. სებასტიან ბუემი (შვეიცარია)	3
15. რობერტ კუბიცა (პოლონეთი)	2
16. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი)	2
17. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია)	0
18. ედრიან სუტილი (გერმანია)	0
19. ნელსონ პიკე (ბრაზილია)	0
20. კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია)	0

კონსტრუქტორთა ჩათვლა:

1. ბრაუნ GP	96
2. რედ ბული	56.5
3. ტოიოტა	32.5
4. ფერარი	20
5. მაკლარენ-მერსედესი	13
6. უილიამსი	11.5
7. რენო	11
8. BMW-ზაუბერი	8
9. ტორო როსო	5
10. ფორს-ინდია	0

ბეტონშემრევი: BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა 1 დღე




ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
 მწარმოებელი: BMC
 მოდელი: BMC PRO 935 FTE
 მოცულობა: 10 მ.3
 ძრავი: Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
 სიმძლავრე: 350 ცხ.დ.
 გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
 ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
 გარანტია: 1 წელი
 მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი, ლ. ალვაშენაბლის ხეივანი მკ-12 კმ.
 ☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

TEGETA TRUCK & BUS LTD

სარუქრები მთელი წელი!



ივნისი

მიიღეთ ოქროს ანაბარზე

+1%



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26



თიბისი ბანკი T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს